პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

პარასკევი, 12 აგვისტო, 1949 წ. № 159 (8462). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანა— მოწინავე (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ (1-ლი გვერდი).

ავტორთა აქტივი გაზეთის დასაყრდენია — „პრავდის“ (მე-2 გვერდი).

საბჭოთა მთავრობის პასუხი იუგოსლავიის მთავრობისადმი (მე-2 გვერდი).

მოამზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების ქსელში (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანა

ჩვენი კადრების მარქსისტულ-ლენინურ აღზრდას პარტია ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს. ამხანაგი სტალინი გვასწავლის:

„...ჩვენ რომ შევძლებდეთ, ჩვენ რომ მოვახერხებდეთ ჩვენი პარტიული კადრები, თავიდან ბოლომდე, იდეოლოგიურად მოვამზადოთ და იმგვარად გამოვაწრთოთ ისინი პოლიტიკურად, რომ მათ შეეძლოთ თავისუფლად გარკვევა საერთაშორისო და საშინაო ვითარებაში, ჩვენ რომ შევძლებდეთ გავხადოთ ისინი სავსებით მომწიფებულ ლენინელებად, მარქსისტებად, რომელთაც ექნებათ უნარი გადაჭრან სერიოზული მეცდომების დაუშვებლად ქვეყნის ხელმძღვანელობის საკითხები, ჩვენ ამით გადავჭრით ყველა ჩვენი ამოცანის ცხრა მეათედს“.

დიდი ბელადის ეს მითითება ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა საფუძვლად დაუდეს თავიანთ მუშაობას. მათ მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელეს პარტიული პროპაგანდის გაუმჯობესებისა და ჩვენი კადრების იდეურ-პოლიტიკური დონის მკვეთრი ამაღლების მისაღწევად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წარმატებანი პარტიული განათლების დარგში მოპოვებულ იქნა გასულ სასწავლო წელს. მაგრამ სწორი არ იქნებოდა მიღწეულით დავკმაყოფილებულიყავით. ჩვენი ამოცანაა განუწყვეტლივ ვიზრუნოთ პოლიტიკური სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის წრეებსა და პოლიტსკოლებში.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ქალაქად 1 ოქტომბერს და სოფლად 15 ოქტომბერს იწყება ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში. სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყება და წარმატებით ჩატარება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოემზადებიან ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ამ უაღრესად სერიოზული საქმისათვის. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწვეული პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების რესპუბლიკური თათბირი, რომლის ანგარიშიც ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში იბეჭდება. თათბირზე აღინიშნა, რომ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა გასულ სასწავლო წელს მნიშვნელოვნად გააძლიერეს ყურადღება პარტიული განათლების საკითხებისადმი, ძირითადად უზრუნველყვეს როგორც პოლიტსკოლებისა და წრეების სწორად დაკომპლექტება, ისე კვალიფიციურ პროპაგანდისტთა შერჩევა, მომზადება და მათთან სემინარული მუშაობის მოწყობა. ამ ღონისძიებათა შედეგად მეტწილ წრეებსა და პოლიტსკოლებში სწავლა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. პარტიული განათლების მთელ სისტემაში იგრძნობოდა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, განსაკუთრებით კი აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო, თბილისის, ქუთაისისა და ფოთის საქალაქო, გორის, ზესტაფონის, ზუგდიდის; ჩოხატაურის, ლანჩხუთის, თელავის, სამტრედიის, აბაშისა და ცხაკაიას რაიონული პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ზრუნვა და ხელმძღვანელობა კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმისადმი.

პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის შედეგებმა მრავალი ნაკლოვანებაც გამოავლინა. მთელ რიგ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში კვლავ გაიმეორეს წინა წლებში დაშვებული შეცდომები, როდესაც წრეებისა და პოლიტსკოლების დაკომპლექტებისას ანგარიშს არ უწევდნენ კომუნისტების მომზადებასა და მათ სურვილს. პოლიტსკოლების გამოშვების დროს ზოგჯერ ნამდვილად არ ამოწმებდნენ მსმენელმა შეითვისა თუ არა პროგრამა. მაგალითად, ხულოს, ჯავის, ადიგენის, ახალციხისა და ახალქალაქის რაიონულ ორგანიზაციებში პოლიტსკოლების მსმენელები უმრავლეს შემთხვევაში უკლებლივ გამოუშვეს, თითქოს ყველას ჰქონდეს შეთვისებული პროგრამით გათვალისწინებული მასალა. დმანისის რაიონში კი 17 პოლიტსკოლიდან არც ერთი არ გამოუშვეს, რადგან ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაიარა პროგრამით გათვალისწინებული მასალა. ბევრი პოლიტსკოლა და წრე არ არის უზრუნველყოფილი კვალიფიციური პროპაგანდისტებით. და თუ ჩვენი რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების პოლიტსკოლებსა და წრეებში სწავლის ხარისხი დაბალი იყო ეს უპირველეს ყოვლისა, იმის შედეგია, რომ პროპაგანდისტთა კადრები ყველგან დამაკმაყოფილებლად არ იყო შერჩეული.

ამხანაგი ლ. ბერია საქართველოს კ. პ. (ბ) X ყრილობაზე ამბობდა: „პროპაგანდისტი პარტიული განათლების მთავარ ფიგურას წარმოადგენს. პროპაგანდისტებად უნდა იყვნენ პარტიულად მტკიცე, პოლიტიკურად მომზადებული კომუნისტები პარტიული აქტივიდან. ამისათვის აუცილებელია კარგად მოეწყოს პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობა, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა და პარტიის ისტორიის შესწავლა სემინარებში, შემოღებულ იქნას პრაქტიკაში პროპაგანდისტთა თათბირების რეგულარული მოწვევა მიმდინარე პოლიტიკის საკითხთა განსახილველად და მოეწყოს პროპაგანდისტთა მომზადება და გადამზადება“. ამხანაგ ბერიას ეს მითითება ადგილობრივმა პარტიულმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა საფუძვლად უნდა დაუდონ მთელ თავიანთ მუშაობას პროპაგანდისტთა შერჩევისა და მომზადების, მათდამი დახმარების გაწევისა და ხელმძღვანელობის საქმეში.

პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადება განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. პოლიტსკოლებისა და წრეების დაკომპლექტების პარალელურად ახლავე უნდა განვაახლოთ პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობა. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ პროპაგანდისტთა სემინარებმა მუშაობა დაიწყონ ერთი თვით—თვენახევრით ადრე სასწავლო წლის დაწყებამდე, ქალაქად 15 აგვისტოდან, ხოლო სოფლად 1 სექტემბრიდან. სემინარებში პირველ რიგში უნდა ჩავაბათ ის პროპაგანდისტები, რომლებიც კურსებზე არ არიან ჩარიცხული, ხოლო შემდეგ, მათთან ერთად კურსებგავლილი პროპაგანდისტებიც.

პარტიული განათლების ქსელში სწავლების მაღალ ხარისხს რომ მივაღწიოთ, საჭიროა სერიოზული ყურადღება მივაქციოთ პოლიტსკოლების, წრეების, საღამოს პარტიული სკოლებისა და მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტების სწორად დაკომპლექტების საქმეს. ამ მხრივ ძირითადი ამოცანაა დაკომპლექტების დროს არ დაუშვათ სხვადასხვა განათლების მქონე ადამიანების ერთად ჩაბმა ამა თუ იმ ტიპის სკოლასა ან წრეში. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა მოითხოვს თვითეული კომუნისტისადმი ინდივიდუალურ მიდგომას. იმ კომუნისტებს, რომლებმაც შარშან ვერ აითვისეს პოლიტსკოლის პროგრამით გათვალისწინებული მასალა, უნდა დავეხმაროთ, რომ მიმდინარე სასწავლო წელს მათ დასძლიონ ეს ამოცანა.

საბჭოთა ადამიანები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ხალხთა დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლისადმი. ადგილობრივი პარტორგანიზაციების ამოცანაა უზრუნველყონ როგორც კომუნისტთა, ისე უპარტიო მშრომელთა მიერ ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შესწავლის საუკეთესოდ მოწყობა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა კვლავ სერიოზული ყურადღება უნდა დაუთმონ მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად სწავლის საქმეს. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტებისადმი, მთელი ჩვენი კადრებისადმი დახმარება გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს მაღალხარისხოვანი ლექციების, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციების, თეორიული განაცხადების, გამოკითხვების, განზოგადების სისტემატურად მოწყობით და სხვ. საჭიროა ყოველივე ეს ახლავე გავითვალისწინოთ, შევარჩიოთ სათანადო კადრები.

ამოცანა ფრიად სერიოზული და პასუხსაგებია. ადგილობრივი „ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები ყოველდღიურად უნდა მუშაობდნენ პარტიული პროპაგანდის გაუმჯობესების საკითხზე, ვინაიდან მთელი ჩვენი წინსვლა დამოკიდებულია, უწინარეს ყოვლისა, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ყოვლისმძლე მოძღვრებით ჩვენი კადრების შეიარაღების ხარისხზე“ (კ. ჩარკვიანი).

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ და წარმატებით ჩავატაროთ სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში, — ასეთია ამოცანა.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს აუკრძალა როგორც დაჭრილი, ისე ფოთლოვანი თამბაქოს თავისუფალი გაყიდვა საქართველოს სს რესპუბლიკაში 1949 წლის მოსავლის თამბაქოს ნედლეულის ჩაბარების გეგმის შესრულებამდე. (საქდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 2 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად **ყურძნის** უხვი მოსავლის მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, 1948 წელს მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გეგმები და მთლიანად უზრუნველყვეს 1949 წლის საგაზაფხულო თესვა ყველა კულტურის თესლით, მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს medali **„ნამგალი და ურო“**.

1. **აბელაშვილს** საქულ ნიკოლოზის-ძეს—გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 102,1 ცენტნერი ყურძენი.

2. **ალავერდაშვილს** მატრო დავითის ასულს — წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის“ მერგოლურს, რომელმაც 5,2 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 100,5 ცენტნერი ყურძენი.

3. **ალადაშვილს** გიორგი ივანეს-ძეს — წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობა — „წითელი არბოშიკის“ ბრიგადირს, რომელმაც 10 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 102,1 ცენტნერი ყურძენი.

4. **ალიბეგოვს** ივანე ალექსის-ძეს—გურჯაანის რაიონის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 103,3 ცენტნერი ყურძენი.

5. **არცივიძეს** ივანე ალექსანდრეს-ძეს—მაიაკოვსკის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 102,3 ცენტნერი ყურძენი.

6. **არჩევნიშვილს** მიხეილ გიორგის-ძეს—გურჯაანის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარ აგრონომს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 19 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

7. **ბაკურაძეს** გიორგი თომას-ძეს—ზესტაფონის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75,6 ცენტნერი ყურძენი.

8. **ბაკურაძეს** პავლე კიმოთეს-ძეს—ამბროლაურის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარ აგრონომს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 32,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

9. **ბახტიძეს** ვალერიან მაკარის-ძეს—მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობის „კომუნისაკენ“ მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 148,3 ცენტნერი ყურძენი.

10. **ბაცაშვილს** გრიგოლ მიხეილის-ძეს—გურჯაანის რაიონის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 4,8 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 105,1 ცენტნერი ყურძენი.

11. **ბედენაშვილს** მიხეილ დიმიტრის-ძეს—ამბროლაურის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 32,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

12. **ბერიძეს** აბდულ ალის-ძეს—ქედის რაიონის III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 101,1 ცენტნერი ყურძენი.

13. **ბურჯანაძეს** ნიკოლოზ გიორგის-ძეს—მაიაკოვსკის რაიონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 102,2 ცენტნერი ყურძენი.

14. **ბურკაძეს** სერგი გიორგის-ძეს—მაიაკოვსკის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 30,3 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

15. **ვაშაკიძეს** ილია ივანეს-ძეს—მაიაკოვსკის რაიონის მაიაკოვსკის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 120,5 ცენტნერი ყურძენი.

16. **ღამბაშიძეს** გიორგი სტეფანეს-ძეს—მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 32,7 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

17. **გარუჩავას** ვალერიან სილიბისტროს-ძეს—მაიაკოვსკის რაიონის მაიაკოვსკის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 109,5 ცენტნერი ყურძენი.

18. **გაჩეჩილაძეს** ილია ზაქარიას-ძეს—ზესტაფონის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3,5 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 76 ცენტნერი ყურძენი.

19. **გველესიანს** ნიკოლოზ გერმანეს-ძეს—ზესტაფონის რაიონის ხოზე დიასის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 80 ცენტნერი ყურძენი.

20. **გორგაძეს** ანდრია იოსების-ძეს—ზესტაფონის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 32,2 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

21. **გოგიევს** ნიკოლოზ აბელის-ძეს—გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანების“ მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 104,4 ცენტნერი ყურძენი.

22. **გორგოძეს** ალექსანდრე ილიას-ძეს—მაიაკოვსკის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს, რომელმაც 10 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 100,7 ცენტნერი ყურძენი.

23. **გორგოძეს** პავლე ილიას-ძეს—მაიაკოვსკის რაიონის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 118,9 ცენტნერი ყურძენი.

24. **გრძელიძეს** არკადი მიხეილის-ძეს—მაიაკოვსკის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 104,6 ცენტნერი ყურძენი.

25. **დავითაშვილს** აბრამ მიხეილის-ძეს—გურჯაანის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 19 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

26. **დევდარიანს** ვლადიმერ გულასპის-ძეს—ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობა „იმედის“ მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 88,6 ცენტნერი ყურძენი.

27. **დემეტრაძეს** შალვა იპოლიტეს-ძეს—ზესტაფონის რაიონის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 78,2 ცენტნერი ყურძენი.

28. **ჯაჭვაძეს** რომან ალექსანდრეს-ძეს—თელავის რაიონის კოლმეურნეობა „მოწინავეს“ მერგოლურს, რომელმაც 3,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 101 ცენტნერი ყურძენი.

29. **ძაბირაძეს** დავით გედევანის-ძეს—მშრომელთა დეპუტატების ზესტაფონის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 32,2 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

30. **ძამუკაშვილს** ივანე გოგიას-ძეს—თელავის რაიონის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავის“ მერგოლურს, რომელმაც 3,6 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 116 ცენტნერი ყურძენი.

31. **დიანოსაშვილს** თეიმურაზ ტერენტის-ძეს—მაიაკოვსკის რაიონის დიმის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 110,2 ცენტნერი ყურძენი.

32. **დოგრაშვილს** ვლადიმერ სამსონის-ძეს—მშრომელთა დეპუტატების მაიაკოვსკის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 30,3 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

33. **ებანოიძეს** მიტროფანე ალექსანდრეს-ძეს—მაიაკოვსკის რაიონის მაიაკოვსკის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს, რომელმაც 13,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 104,6 ცენტნერი ყურძენი.

34. **ებანოიძეს** სიმონ რაჟდენის-ძეს—ორჯონიკიძის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარ აგრონომს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 32,7 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

35. **ენდელაძეს** ვაცენტი აკაკის-ძეს—მაიაკოვსკის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 106,4 ცენტნერი ყურძენი.

36. **ყლენტს** შალვა დიმიტრის-ძეს—მაიაკოვსკის რაიონის დიმის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 101,5 ცენტნერი ყურძენი.

37. **ზირაქაძეს** დომენტი სოგრატის-ძეს—მაიაკოვსკის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 100,5 ცენტნერი ყურძენი.

38. **კაკალაშვილს** გიგუცა ნიკოლოზის-ძეს—გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 103 ცენტნერი ყურძენი.

39. **კალანდაძეს** იროდი ბიჭიას-ძეს—ზესტაფონის რაიონის ხოზე დიასის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს, რომელმაც 10 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75,3 ცენტნერი ყურძენი.

40. **კარაბაკს** გიორგი ილიას-ძეს—მაიაკოვსკის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 101,4 ცენტნერი ყურძენი.

41. **კარდენახიშვილს** სერგი წყალობას-ძეს — გურჯაანის რაიონის ველისციხის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3,1 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 101,2 ცენტნერი ყურძენი.

42. **კახიძეს** შალვა სიმონის-ძეს—მშრომელთა დეპუტატების ამბროლაურის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 32,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

43. **კვანტრიშვილს** ბედია გიორგის-ძეს—ზესტაფონის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს რომელმაც 3,2 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75,4 ცენტნერი ყურძენი.

44. **კვანტრიშვილს** გიორგი არქიპოს-ძეს—ზესტაფონის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს, რომელმაც 10 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75,6 ცენტნერი ყურძენი.

45. **კვანტრიშვილს** გრიგოლ გედევანის-ძეს—ზესტაფონის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს, რომელმაც 10 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75,4 ცენტნერი ყურძენი.

46. **კვანტრიშვილს** ნიკოლოზ აფრასიონის-ძეს—ზესტაფონის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3,4 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75,7 ცენტნერი ყურძენი.

47. **კვანტრიშვილს** პეტრე ივანეს-ძეს—ზესტაფონის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3,2 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75 ცენტნერი ყურძენი.

48. **ქვარიანს** თეოფანე გლახოს-ძეს—ცაგერის რაიონის კოლმეურნეობა „განთიადის“ მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 114,7 ცენტნერი ყურძენი.

49. **კვინიკაძეს** ივანე პავლეს-ძეს—ორჯონიკიძის რაიონის ლაშის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „წითელი სხივის“ მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 97,2 ცენტნერი ყურძენი.

50. **ყვირილაშვილს** ივანე იაგორის-ძეს—გურჯაანის რაიონის კომინტერნის მე-7 კონგრესის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 103,3 ცენტნერი ყურძენი.

51. **კიკალაშვილს** პეტრე არჩილის-ძეს—ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობა „იმედის“ მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 77,7 ცენტნერი ყურძენი.

52. **კიკნაძეს** დავით მიხეილის-ძეს—ორჯონიკიძის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს, რომელმაც 10,8 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75,6 ცენტნერი ყურძენი.

53. **კიკნაძეს** ევლაპი ტარიელის ასულს—ორჯონიკიძის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3,1 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 76,6 ცენტნერი ყურძენი.

54. **კიკნაძეს** ზურაბ ვასილის-ძეს—პარტიის ორჯონიკიძის რაიონული კომიტეტის მდივანს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 32,7 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

55. **კიკნაძეს** მათიკო მელიტონის ასულს—ორჯონიკიძის რაიონის საღანძილის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „წითელი სხივის“ მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 77,1 ცენტნერი ყურძენი.

56. **კობაძეს** გაბო ესტატეს-ძეს—ზესტაფონის რაიონის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3,3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 77,6 ცენტნერი ყურძენი.

57. **ყორღანოვს** არშაკ მელიქის-ძეს—გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 101,1 ცენტნერი ყურძენი.

58. **ლომიძეს** სერაფიონ ელიზბარის-ძეს—ორჯონიკიძის რაიონის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 85,2 ცენტნერი ყურძენი.

59. **ლომიძეს** თამარ გიორგის ასულს—წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის“ მერგოლურს, რომელმაც 4,8 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 103,5 ცენტნერი ყურძენი.

60. **ლომინაძეს** ანდრია სეფოს-ძეს—მშრომელთა დეპუტატების ვანის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 23,8 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

61. **ლორთქიფანიძეს** ვლადიმერ სოლომონის-ძეს — პარტიის მაიაკოვსკის რაიონული კომიტეტის მდივანს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 30,3 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

საბჭოთა მთავრობის პასუხი იუგოსლავიის მთავრობისადმი

როგორც უკვე პრესაში იყო გამოქვეყნებული, 19 ივლისს საბჭოთა მთავრობამ იუგოსლავიის მთავრობას გაუგზავნა ნოტა პასუხით იუგოსლავიის ნოტაზე საბჭოთა კავშირის პოზიციის გამო ავსტრიისადმი იუგოსლავიის მოთხოვნათა შესახებ ავსტრიის ხელშეკრულების პროექტის განხილვასთან დაკავშირებით.

3 აგვისტოს იუგოსლავიის მთავრობამ საბჭოთა მთავრობას გამოუგზავნა ახალი ნოტა ამ საკითხზე.

11 აგვისტოს საბჭოთა მთავრობამ იუგოსლავიის მთავრობას გაუგზავნა შემდეგი შინაარსის საპასუხო ნოტა:

„საბჭოთა კავშირის მთავრობას იუგოსლავიის მთავრობის ა. წ. 3 აგვისტოს ნოტასთან დაკავშირებით საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი:

სსრ კავშირის მთავრობა გვერდს უვლის იუგოსლავიის მთავრობის 3 აგვისტოს ნოტის უზრდელ ტონს. იგი აგრეთვე გვერდს უვლის იუგოსლავიის მთავრობის ცილისმწამებლურ იმ მონაჭორს სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ, რაც ფაშისტთა არსენალიდან არის აღებული. საბჭოთა მთავრობა სხვა რამეს არც მოელოდა იუგოსლავიის ახლანდელი მთავრობისაგან, ვინაიდან არაფერია გასაკვირველი იმაში, რომ იუგოსლავიის მთავრობა, რომელიც სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკიდან უცხოეთის კაპიტალისა და რეაქციის ბანაკში გადაბარგდა, არღვევს ზრდილობის ელემენტარულ კანონებს ორ მთავრობას შორის მიწერ-მოწერაში და ფაშისტთა მსგავსად იმეორებს ცილისმწამებლურ ბრალდებებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

გადავიდეთ ფაქტებზე.

1. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ იუგოსლავიის მთავრობამ ჩამოაყალიბა თავისი ეკონომიური და ტერიტორიული პრეტენზიები ავსტრიისადმი იმის მოთხოვნით, რომ იუგოსლავიას გადასცემოდა სლოვენიის კარინტია და შტირიის სასაზღვრო სლოვენური რაიონები 2.600 კვადრატული კილომეტრი საერთო ფართობით და დაახლოებით 190 ათასი მოსახლეობით. საბჭოთა მთავრობამ იკისრა დაეცვა ეს პრეტენზიები და იცავდა კიდევაც მათ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესიებზე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ.

1947 წლის აპრილში იუგოსლავიის პრემიერის მოადგილემ ბ-ნმა კარდელმა იუგოსლავიის მთავრობის სახელით მიმართა ა. ი. ვიშინსკის სპეციალური წერილით, სადაც მან ჩამოაყალიბა იუგოსლავიის მთავრობის ახალი პოზიცია ავსტრიისადმი იუგოსლავიის პრეტენზიების შესახებ. ამ ახალი პოზიციის არსი, როგორც ბ-ნ კარდელის წერილიდან ჩანს, ის არის, რომ იუგოსლავიის მთავრობას არა აქვს იმედი იუგოსლავიის პრეტენზიების დაკმაყოფილებისა დასავლეთ სახელმწიფოთა მხრივ, რის გამო წინადადებას იძლევა უარი თქვას სლოვენიის კარინტიაზე და დასჯერდეს მდინარე დრავაზე ორი ელექტროსადგურის მახლობლად მცირე ტერიტორიის მოთხოვნას. კარდელი წერს: „საკითხი შეიძლება გადაწყდეს მცირე სასაზღვრო შესწორებით, რისთვისაც გიდგენთ ორი ვარიანტის პროექტს, ხოლო, უკიდურეს შემთხვევაში, მისი გადაწყვეტა შეიძლება ამ სადგურების მართვაში იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის განსაკუთრებულ უფლებათა დადგენით“. სხვანაირად რომ ითქვას, იუგოსლავიის მთავრობა უარს ამბობს ავსტრიისადმი ყოველგვარ ტერიტორიულ პრეტენზიაზე და თავის მოთხოვნებს განსაზღვრავს სხვის ტერიტორიაზე ორი ელექტროსადგურის მართვის საქმეში იუგოსლავიის განსაკუთრებულ უფლებათა უზუნველყოფით.

მაშასადამე, იუგოსლავიის მთავრობას უკვე 1947 წლის აპრილში საჭიროდ მიაჩნდა უარი ეთქვა არა მარტო სლოვენიის კარინტიაზე და არა მარტო მცირე ტერიტორიაზე სლოვენიის კარინტიის შემადგენლობიდან, არამედ ავსტრიისადმი ყოველგვარ ტერიტორიულ პრეტენზიაზეც.

ეს იყო მაშინ, როცა საბჭოთა მთავრობა დასავლეთ სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან თათბირებზე მოითხოვდა სლოვენიის კარინტიას იუგოსლავიისათვის.

ასეთია უდავო ფაქტი.

იუგოსლავიის მთავრობა თავის 3 აგვისტოს ნოტაში სლოვენიის კარინტიაზე უარის თქმას ახასიათებს როგორც ღალატს, როგორც კარინტიის სლოვენი მოსახლეობის ინტერესთა გამეტემლობას, როგორც ნაციონალური თვითგამორკვევის უფლებათა დარღვევას, როგორც იმპერიალისტური პოლიტიკის გამოხატულებას, როგორც სლოვენიის კარინტიის ხურდა ფულად გადაქცევას და სხვ. თუ აქ მართლა ადგილი აქვს ღალატსა და იუგოსლავიის ინტერესთა გამეტემლობას, მაშინ გამცემად და მოღალატედ, როგორც კარდელის წერილიდან ჩანს, უნდა ჩაითვალოს იუგოსლავიის მთავრობა და მხოლოდ იუგოსლავიის მთავრობა.

2. იუგოსლავიის მთავრობას, როცა ასეთ დათმობებზე მიდიოდა და უარს ამბობდა თავის ტერიტორიულ პრეტენზიებზე, თითქოს უნდა ეკისრა პასუხისმგებლობა ასეთი პოზიციისათვის. მაგრამ იუგოსლავიის მთავრობა სხვანაირად მსჯელობდა. იგი ფიქრობდა, რომ ამ დათმობების შესახებ საბჭოთა მთავრობას უნდა განეცხადებინა თავისი საკუთარი სახელით და ეკისრა ინიციატივა და მთელი პასუხისმგებლობა ამ საქმისათვის. რაც შეეხება იუგოსლავიის მთავრობას, იგი განზე უნდა დარჩეს და არ უნდა იკისროს არავითარი პასუხისმგებლობა სლოვენიის კარინტიაზე უარის თქმისათვის, რაც იუგოსლავიის მთავრობამ საჭიროდ ცნო 1947 წლის აპრილში. როცა 1947 წლის აგვისტოში საბჭოთა ელჩმა ლავრენტიევმა იუგოსლავიის პრემიერ ტიტოს კარდელის თანდასწრებით მიღებაზე ჰკითხა — განზრახული აქვს თუ არა იუგოსლავიის მთავრობას ოფიციალურად განაცხადოს თავისი ახალი პოზიციის შესახებ, ტიტომ განაცხადა, როგორც ეს საბჭოთა ელჩის ჩანაწერიდან ჩანს, რომ თუ მოითხოვენ იუგოსლავიის მთავრობის ოფიციალურ განცხადებას სლოვენიის კარინტიაზე შემდგომ მოთხოვნებზე უარის შესახებ, იუგოსლავიის მთავრობა ასეთ განცხადებას ვერ გააკეთებს. იუგოსლავია თავის მინიმალურ მოთხოვნებზე უფრო იტყვის უარს, ვიდრე ამგვარ განცხადებას გააკეთებდეს.

მაშასადამე, იუგოსლავიის მთავრობის გეგმით საბჭოთა მთავრობას უნდა ეკისრა პასუხისმგებლობა სლოვენიის კარინტიაზე და საერთოდ იუგოსლავიის ყოველგვარ ტერიტორიულ პრეტენზიაზე უარისათვის, იუგოსლავიის მთავრობა კი განზე უნდა მდგარიყო, რათა იუგოსლავიის ხალხების თვალში შეექმნა ყალბი წარმოდგენა, რომ იუგოსლავიის მთავრობა ვითომდა კვლავ რჩება იუგოსლავიისათვის სლოვენიის კარინტიის მოთხოვნის ძველ პოზიციებზე, რომ, მაშასადამე, სლოვენიის კარინტიაზე უარის თქმა გამომდინარეობს არა იუგოსლავიის მთავრობისაგან, არამედ საბჭოთა მთავრობისაგან. მოკლედ რომ ვთქვათ, საბჭოთა მთავრობას წინადადებას აძლევდნენ გამხდარიყო იუგოსლავიის ხალხთა მოტყუების იარაღი, მოტყუებისა, რაც იუგოსლავიის მთავრობამ წამოიწყო. იუგოსლავიის მთავრობა გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ საბჭოთა მთავრობა დათანხმდებოდა ამ პოლიტიკურ თაღლითობაზე.

გასაგებია, რომ საბჭოთა მთავრობა ვერ დათანხმდებოდა ამ ბინძურ მაქინაციაზე. საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ იგი მზად არის დაიცვას იუგოსლავიის პრეტენზიები, თუ იუგოსლავიის მთავრობა პატიოსნად და ოფიციალურად, სრული პასუხისმგებლობით ჩამოაყალიბებს ამ პრეტენზიებს, მაგრამ მას არ შეუძლია იკისროს იმ პრეტენზიების დაცვა, რაზედაც სინამდვილეში უარს ამბობს იუგოსლავიის მთავრობა.

ამ ფაქტების მიხედვით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია უარყოს იუგოსლავიის მთავრობის 3 აგვისტოს ნოტის მტკიცება, თითქოს საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლები როდისმე მოითხოვდნენ, რომ იუგოსლავიას შეემცირებინა თავისი ტერიტორიული მოთხოვნები. ასეთი მტკიცების სიყალბე უკვე იქიდან ჩანს, რომ ჯერ კიდევ 1947 წლის ნოემბერში საბჭოთა ელჩმა იუგოსლავიაში იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სამინისტროს შეკითხვაზე ამ უკანასკნელს აცნობა, რომ სსრ კავშირი საფუძველს ვერ ხედავს, რათა იუგოსლავიამ შეამციროს თავისი ტერიტორიული პრეტენზიები ავსტრიისადმი. შემდეგ, 1948 წელს, როცა იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა სიმიჩმა საბჭოთა ელჩს განცხადება გაუკეთა, რომ თითქოს საბჭოთა ელჩმა ლონდონში ზარუბინმა ურჩია იუგოსლავიის წარმომადგენელს ბებლერს გამოსულიყო ავსტრიის ხელშეკრულების გამო მინისტრთა მოადგილეების თათბირზე ისეთი წინადადებით იუგოსლავიის ტერიტორიული პრეტენზიების შესახებ, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა იუგოსლავიის თავდაპირველი მოთხოვნებისაგან იმ მხრივ, რომ შემცირებულიყო იუგოსლავიის ტერიტორიული მოთხოვნები, საბჭოთა ელჩმა ლავრენტიევმა უპასუხა:

„გაზაფხულზე ლონდონში ბებლერი წინადადებას აძლევდა საბჭოთა წარმომადგენელ კოტომოვს, რწმუნებულს ავსტრიის ხელშეკრულების საკითხებზე მოლაპარაკებისათვის, ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთა თათბირზე შეეტანა წინადადება ავსტრიისადმი იუგოსლავიის შემცირებული ტერიტორიული პრეტენზიებით. ასეთავე წინადადებას იძლეოდა ბებლერი ლონდონში საბჭოთა ელჩ ზარუბინთან საუბარში. ბებლერის ეს წინადადება უარყო კოტომოვმა, აგრეთვე საბჭოთა ელჩმა ზარუბინმა. ამათთან ბებლერს მიეთითა, რომ საბჭოთა დელეგაცია მხარს დაუჭერს იმ წინადადებებს, რომლებსაც ოფიციალურად გააკეთებს თვით იუგოსლავიის დელეგაცია“.

3. ამავე დროს, როგორც შემდეგში გამოირკვა, იუგოსლავიის მთავრობა, საბჭოთა მთავრობის ზურგს უკან აწარმოებდა საიდუმლო მოლაპარაკებას ინგლისის წარმომადგენლებთან ბელგრადსა და ლონდონში და სსრ კავშირისაგან მალულად უთანხმდებოდა მათ სლოვენიის კარინტიაზე უარის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირს მოკავშირეობის ხელშეკრულება აქვს იუგოსლავიასთან, საბჭოთა მთავრობამ დღემდე არ იცის, რაზე მორიგდნენ ეს ვაჟბატონები. იუგოსლავიის მთავრობა აბუკიცებს, ამ მოლაპარაკებაში სსრ კავშირისაგან საიდუმლო არაფერი ყოფილაო, და ამასთან იმოწმებს ბ-ნ კარდელის წერილს ა. ი. ვიშინსკისადმი. მაგრამ კარდელის წერილში არაფერი არ არის ნათქვამი იმაზე, რომ იუგოსლავიის მთავრობა აპირებდა მოლაპარაკებას ინგლისის წარმომადგენლებთან აღნიშნულ ბაზაზე. ეს სრულებით არ ყოფილა ნახსენები არც იუგოსლავიის წარმომადგენელთა საუბრებში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებთან. უფრო მეტიც, აღნიშნული ფარული მოლაპარაკება ინგლისის წარმომადგენლებთან უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ იუგოსლავიის მთავრობა კვლავ უმალავდა საბჭოთა მთავრობას ამ მოლაპარაკების შედეგებს და საჭიროდ არ მიიჩნია ინფორმაცია მიეწოდებინა ამ შედეგების შესახებ საბჭოთა მთავრობისათვის. მას შემდეგ უკვე ორი წელიწადი გავიდა, ხოლო საბჭოთა მთავრობამ დღემდე არ იცის, რით დამთავრდა ეს ფარული მოლაპარაკება და ვის წინააღმდეგ იყო იგი მიმართული, ვინაიდან ის, რაც საბჭოთა ელჩის მიერ ჩიხში მიმწყვდეულმა იუგოსლავიის მთავრობამ ამ ფარული მოლაპარაკების შესახებ მას აცნობა, იმის მეათედ ნაწილსაც არ შეადგენს, რაც ნამდვილად მოხდა ამ მოლაპარაკების დროს. უეჭველია ერთი, რომ ამ ფარული მოლაპარაკების დროს მოხდა გარიგება კარინტიის სლოვენთა ინტერესების ხარჯზე — იუგოსლავიის ნაციონალურ უფლებათა საზიანოდ.

4. იუგოსლავიის ნოტაში ყალბად და ცილისმწამებლურად არის აღნიშნული, რომ საბჭოთა მთავრობას არ სურს უარყოს ავსტრიის პრესის ცნობები იმის შესახებ, რომ თითქოს „არსებობს დაპირება, რომელიც სტალინმა მისცა ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტს რენერს ავსტრიის 1938 წლის საზღვრების გარანტიის შესახებ“. იუგოსლავიის მთავრობამ იცის, რომ ავსტრიის პრესის ასეთი ცნობები მოჩვორილი და ყალბია. იუგოსლავიის მთავრობამ, რომელიც მოსკოვში თავისი ელჩის პოპოვიჩის მეშვეობით გაეცნო ხსენებული წერილის შინაარსს, აგრეთვე იცის, რომ ამ წერილში საერთოდ ლაპარაკიც არ ყოფილა „ავსტრიის საზღვრების გარანტიებზე“ და ამის გამო სრულებით არ იყო საჭირო გამოსვლა ავსტრიის პრესის ყალბი ცნობების უარსაყოფად. ახლა იუგოსლავიის მთავრობა გამოდის სასაცილო პრეტენზიით იმის გამო, რომ ეს ცნობა არასოდეს არ უარუყვიათ საბჭოთა ორგანოებს. ამავე დროს კი, თვით იუგოსლავიის მთავრობა, როგორც ეს მან იცის, იმ დროს რაიმე უარყოფის წინააღმდეგი იყო.

გამოდის, რომ საბჭოთა კავშირისათვის ცილის დაწამების მისწრაფებაში იუგოსლავიის მთავრობა იძულებულია თვითონვე უარყოს თავისი წინანდელი მოსაზრებანი.

5. ყველა ამ გარემოებამ საბჭოთა მთავრობა იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ: იუგოსლავიის მთავრობა არღვევს მოკავშირეობის ვალდებულებებს სსრ კავშირის მიმართ; რომ იგი იქცევა არა როგორც საბჭოთა კავშირის მოკავშირე, არამედ როგორც მის მოწინააღმდეგე; რომ იუგოსლავიის მთავრობა ან ამ მთავრობის მთავარი პირები რაღაც მაგარი ძაფებით დაკავშირებული არიან უცხოელი კაპიტალისტების ბანაკთან; რომ იუგოსლავიის მთავრობა სულ უფრო და უფრო უკავშირდება იმპერიალისტურ წრეებს სსრ კავშირის წინააღმდეგ და ბლოკს კრავს მათთან; რომ საბჭოთა მთავრობას აღარ შეუძლია ჩათვალოს იუგოსლავიის მთავრობა საბჭოთა კავშირის მოკავშირედ; რომ საბჭოთა მთავრობას აღარ შეუძლია მხარი დაუჭიროს იუგოსლავიის მთავრობის პრეტენზიებს, განსაკუთრებით იმ პრეტენზიებს, რომლებიც უარი თქვა თვით იუგოსლავიის მთავრობამ, თქვა, თვითონ ბატონმა ტიტომ, ... უმალავს თავის ამ უარს; რომ თუ იუგოსლავიის მთავრობას იმპერიალისტურ წრეებთან ერთიანი ფრონტი ურჩევნია საბჭოთა კავშირთან ერთიან ფრონტს, დაე ამავე წრეებმა დაუჭიროონ მხარი მის პრეტენზიებს.

რაც შეეხება მინისტრების საბჭოს პარიზში შემდგარ უკანასკნელ სესიას, საბჭოთა მთავრობისათვის ცხადი გახდა, რომ იუგოსლავიის მთავრობა სლოვენიის კარინტიის საკითხში ახორციელებს თავის ორპირულ გეგმას, რომელიც ამაში მდგომარეობს, რომ იგი ოფიციალურად დაიცავს იუგოსლავიის რესპუბლიკისათვის სლოვენიის კარინტიის გადაცემას, მაშინ როცა სინამდვილეში იუგოსლავიის მთავრობა სსრ კავშირისაგან ფარული მოლაპარაკების დროს უკვე ახორციელებს დასავლეთ სახელმწიფოებთან მორიგებას ამ პოზიციის დათმობისა და სლოვენიის კარინტიაზე უარის შესახებ. ბუნებრივია, რომ საბჭოთა მთავრობამ არ ისურვა რაიმე დამოკიდებულება ჰქონოდა იუგოსლავიის მთავრობის მიერ იუგოსლავიის ხალხების მოტყუების ამ პოლიტიკასთან და არ უნდა დაეცვა პოზიცია, რომელიც ნამდვილად იუგოსლავიის მთავრობამ ჯერ კიდევ 1947 წლის აპრილში უარყო კარდელის წერილში ვიშინსკისადმი.

6. იუგოსლავიის მთავრობა თავის ნოტაში აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა უარი განაცხადა მიეღო პარიზში იუგოსლავიის მთავრობის წარმომადგენლები. მაგრამ აღშფოთებისათვის აქ არავითარი საფუძველი არ არსებობს. თავის წარმომადგენელთა მოგზავნით იუგოსლავიის მთავრობა ამოცანად ისახავდა შეექმნა იუგოსლავიის ხალხთა თვალში ყალბი შთაბეჭდილება იმის შესახებ, რომ მას კვლავ მეგობრული ურთიერთობა აქვს საბჭოთა კავშირთან. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა არ მიიღო იუგოსლავიის წარმომადგენელი, იმისათვის რომ ემხილებინა ეს მოტყუება და ეჩვენებინა, რომ საბჭოთა მთავრობას განზრახული არა აქვს დაეხმაროს იუგოსლავიის მთავრობას თავისი ხალხის მოტყუებაში. დაე იცოდნენ იუგოსლავიის ხალხებმა, რომ საბჭოთა მთავრობას იუგოსლავიის ახლანდელი მთავრობა მიაჩნია საბჭოთა კავშირის არა მეგობრად და მოკავშირედ, არამედ მის მტრად და მოწინააღმდეგედ“.

საბჭოთა მთავრობის ნოტის გამო იუგოსლავიის მთავრობისადმი

იუგოსლავიის მთავრობის ა. წ. 3 აგვისტოს ნოტა, რომელზეც საბჭოთა მთავრობის პასუხი ზემოთ ქვეყნდება, იმოწმებს ბ-ნ კარდელის 1947 წლის 20 აპრილის წერილს ა. ი. ვიშინსკისადმი.

ქვემოთ მოყვანილია ამ წერილის ტექსტი.

„მოსკოვი, ა. წ. 20 აპრილი

პატივცემულო ამხანაგო ვიშინსკი,

ვინაიდან არსებობს შესაძლებლობა, რომ იუგოსლავიის ტერიტორიული მოთხოვნები ავსტრიისადმი მათი ახლანდელი სახით უარყოფილ იქნება მთლიანად, და თუ თქვენ გსურთ დაადგინოთ ახალი წინადადება, ამ შემთხვევაში მე მსურს მივაქციო თქვენი ყურადღება იმ საკითხებს, რომლებიც იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისათვის იმდენად დიდმნიშვნელოვანია, რომ საჭირო იქნება გამოინახოს მათთვის დადებითი გადაწყვეტა. ამ საკითხების დადებითად გადაწყვეტა იმ მოთხოვნების სრულიად მინიმალური დაკმაყოფილება იქნებოდა, რომლებსაც იუგოსლავიის ტერიტორიული პრეტენზიები შეიცავენ.

პირველი საკითხი შეეხება ქვაბეკისა და ლაბოდის ელექტროსადგურებს. ჩემს მოხსენებაში მინისტრების საბჭოს წინაშე ხაზგასმით აღვნიშნე ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც ამ ელექტროსადგურებს იუგოსლავიის ელექტრომრეწველობისათვის აქვთ. ქვაბეკისა და ლაბოდის ელექტროსადგურები აშენდა ანშლუსის შემდეგ, ძირითადად ომის განმავლობაში. ისინი ააგო გერმანულმა ფირმამ ალპენ ელექტროვერკე აქციენგეზელშაფტმა, ვინ, თანაც 1926 წლის კონვენციის საწინააღმდეგოდ, რომლის მიხედვით ავსტრიამ ვალდებულება იკისრა არაფერი არ აეშენებინა დრავაზე იუგოსლავიისაგან წინასწარი თანხმობის მოუღებლად. მაშასადამე, ეს ელექტროსადგურები წარმოადგენენ გერმანიის საკუთრებას ავსტრიის დასავლეთ ზონაში, და ამ საკუთრებიდან იუგოსლავიის ფედერაციულმა სახალხო რესპუბლიკამაც, გარდა დანარჩენი სახელმწიფოებისა, რომლებმაც ხელი მოაწერეს პარიზის სარეპარაციო კონფერენციის გადაწყვეტილებას, უნდა მიიღოს თავისი რეპარაციების ნაწილი. შემდეგ, ეს ელექტროსადგურები აგებულია იე, რომ მხედველობაში არ არის მიღებული იუგოსლავიის ელექტრომრეწველობის საჭიროებანი, და ექსპლოატაციის ახლანდელი რეჟიმის პირობებში ისინი უდიდეს ზიანს გვაყენებენ — ცალკეულ თვეებში დაახლოებით თითო მილიონ კილოვატ-საათს.

საკითხი შეიძლება გადაწყდეს მცირე სასაზღვრო შესწორებით, რისთვისაც გიდგენთ ორი ვარიანტის პროექტს, ხოლო, უკიდურეს შემთხვევაში, იგი შეიძლება გადაწყდეს ამ სადგურების მართვაში იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის განსაკუთრებულ უფლებათა დადგენით.

ამ ფაქტებზე მიხედვით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია უარყოს იუგოსლავიის მთავრობის 3 აგვისტოს ნოტის მტკიცება, თითქოს საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლები როდისმე მოითხოვდნენ, რომ იუგოსლავიას შეემცირებინა თავისი ტერიტორიული მოთხოვნები. ასეთი მტკიცების სიყალბე უკვე იქიდან ჩანს, რომ ჯერ კიდევ 1947 წლის ნოემბერში საბჭოთა ელჩმა იუგოსლავიაში იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სამინისტროს შეკითხვაზე ამ უკანასკნელს აცნობა, რომ სსრ კავშირი საფუძველს ვერ ხედავს, რათა ბოჭავს მასების ინიციატივასა და თვითმოქმედებას.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი პრესაში მუშა და სოფლის კორესპონდენტთა კრიტიკულ გამოსვლებს. მთელი ძალით უნდა აღკვეთოთ კრიტიკული გამოსვლებისათვის მუშა და სოფლის კორესპონდენტთა დევნის ოდნავი ცდები.

პარტიული ორგანიზაციების წინაშე, გაზეთების რედაქციების წინაშე ახლა განსაკუთრებით მწვავედ დგება მუშა და სოფლის კორესპონდენტებთან აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების ამოცანა. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილებაში სოლქო გაზეთების „მოლოტის“, „ვოლჟსკაია კომუნას“ და „კურსკაია პრავდის“ გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაზეთში მონაწილეობის მისაღებად მუშებიდან, გლეხებიდან და ინტელიგენციიდან კორესპონდენტთა ფართო მიზიდვა გაზეთების გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობაა, და წინადადება მისცა რედაქციებს მოაწყონ ყოველდღიური მუშაობა ავტორთა აქტივთან. საჭიროა პერიოდულად მოვიწვიოთ ავტორთა აქტივი რედაქციის მუშაობის გეგმების განსახილველად, მოვაწყოთ სემინარები, ინდივიდუალური და კოლექტიური კონსულტაციები საგაზეთო მუშაობის საკითხებზე.

უდიდესმა სოციალისტურმა გარდაქმნებმა, ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა კულტურულმა რევოლუციამ შეცვალეს ჩვენი გაზეთების ავტორთა აქტივის სახეც. ახლანდელ მუშა და სოფლის კორესპონდენტები არიან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სტახანოველები, წარმოების ნოვატორები, კულტურული, ტექნიკურად მომზადებული ადამიანები, რომლებსაც გააჩნიათ ახლის შესანიშნავი გრძნობა. ესენი არიან ჩვენი საზოგადოების მოწინავე ადამიანები, რომლებიც პირადი მაგალითით გვიჩვენებენ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ნიმუშებს.

ბოლშევიკური პრესის ძალა პარტიულ ხელმძღვანელობაშია. პარტიულმა ორგანოებმა პრესისადმი ხელმძღვანელობის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ გაზეთების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას, მათში მონაწილეობისათვის ავტორთა აქტივის მიზიდვას. უფრო მეტად ავამაღლოთ გაზეთების იდეური დონე და ორგანიზატორული როლი!

„პრავდის“ 11/VIII მოწინავე

ავტორთა აქტივი გაზეთის დასაყრდენია

არასოდეს მთელი ისტორიის მანძილზე პრესას არ შეუსრულებია ისეთი დიდი პროგრესული ამოცანები, არ ჰქონია ისეთი საზოგადოებრივი ფუნქციები, არ ყოფილა ისეთი მახლობელი და საყვარელი ხალხისათვის, როგორც ბოლშევიკური პრესა — ახალი ტიპის პრესა.

ჩვენს ქვეყანაში პრესა მოწოდებულია აღზარდოს მასები საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, დაარაზმოს ისინი კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმისათვის. პრესა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ყველაზე ბასრი და ყველაზე ძლიერი იარაღია. პრესის საშუალებით პარტია ყოველ დღე, ყოველ საათს ელაპარაკება ხალხს მისთვის საჭირო ენაზე.

კომუნისტური პარტიის ორგანიზატორები და ბელადები ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ ჩვენი პარტიის ძალა მასებთან მის განუყრელ კავშირშია, იმაშია, რომ ყურს უგდებს მასების ხმას, მზად არის არა მარტო ასწავლოს მასებს, არამედ ისწავლოს კიდევაც მასებისაგან. ჩვენი გაზეთების მუშაობა შენდება მშრომელთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობით. ლენინი გვასწავლიდა, რომ პარტიული ორგანო „ცოცხალი და ცხოველმყოფელი მაშინ იქნება, როცა ხუთ ხელმძღვანელ და მუდმივ მწერალ ლიტერატორზე მოვა ხუთასი და ხუთი ათასი არალიტერატორი მუშაკი“.

ამხანაგი სტალინი „პრავდის“ პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში წერდა: „ჩვენი სურვილია... რომ მუშები მარტო თანაგრძნობით კი არ კმაყოფილდებოდნენ, არამედ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი გაზეთის გაძღოლა-გამოცემის საქმეში. დაე ნუ იტყვიან მუშები, რომ მწერლობა მათთვის „უჩვეულო“ სამუშაოა: ლიტერატორი მუშები მზამზარეულად როდი ცვივიან ზეციდან, მათი გამომუშავება ხდება მხოლოდ თანდათანობით, ლიტერატურული მუშაობის მსვლელობაში. ოღონდ საჭიროა უფრო გაბედულად მოჰკიდო ხელი საქმეს: ორიოდეჯერ წაიბორძიკებ და ამასობაში წერასაც ისწავლი...“

ჩვენს დროს საბჭოთა პრესაში მილიონობით მშრომელნი მონაწილეობენ. კომუნისტური საზოგადოების მშენებლები, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტები პრესაში ხედავენ მძლავრ კოლექტიურ პროპაგანდისტს, აგიტატორსა და ორგანიზატორს.

მუშა და სოფლის კორესპონდენტთა ცხოვრების ცოდნით აღსავსე საქმიან, სამშობლოსადმი სიყვარულით გამთბარ სტატიებსა და წერილებში ძვირფასი აზრები და წინადადებებია. გაზეთის ფურცლებზე ისინი ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს. ავტორთა აქტივის სტატიები და კორესპონდენციები, მშრომელთა წერილები ამდიდრებენ გაზეთის შინაარსს, ცოცხალსა და ცხოველმყოფელს ხდიან მას.

ავტორთა აქტივი გაზეთის დასაყრდენია, მისი ძალაა. პარტიული და საბჭოთა მუშაკებიდან, ინჟინრებიდან, აგრონომებიდან, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკებიდან, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთაგან ავტორთა ფართო მიზიდვის მეოხებით „ურალსკი რაბოჩის“ რედაქციამ მნიშვნელოვნად გაამდიდრა გაზეთის თემატიკა. მის ფურცლებზე რეგულარულად იბეჭდება თეორიული სტატიები, პასუხები მკითხველთა შეკითხვებზე, სტატიები კონკრეტული ეკონომიკის დარგში.

ავტორთა აქტივი ეხმარება გაზეთს გამოეხმაუროს და გაავრცელოს წარმოების ნოვატორთა გამოცდილება, გააჩაღოს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრება. მშრომელთა წერილებიდან რედაქცია ადგენს მთელ გვერდებს, რომლებიც სავსეა საინტერესო პრობლემებით, უძვირფასესი წინადადებებით. რედაქციას ესმის ავტორებთან სისტემატური მუშაობის მნიშვნელობა, მას ავტორთა განსახილველად გამოაქვს სარედაქციო გეგმები, თათბირობს აქტივთან ამა თუ იმ დიდი წამოწყების წინ. იგი უფრთხილდება აქტივის აზრს, დიდად აფასებს მის მონაწილეობას გაზეთში.

მაგრამ გვყვანან ისეთი რედაქტორებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ საკმარისია რედაქციის შტატში ჰყავდეთ 5-10 გამოცდილი ჟურნალისტი, რომლებიც მზად არიან ხელი მოჰკიდონ ყოველგვარ თემას, და გაზეთი საინტერესო და შინაარსიანი იქნება. სწორედ ასე ფიქრობდა გაზეთ „კრასნი კრიმის“ ყოფილი რედაქტორი სკრიპჩენკო. ამ გაზეთის ფურცლები ივსებოდა შტატის თანამშრომელთა მცირე ჯგუფის ზერელე, ცალმხრივი შენიშვნებითა და სტატიებით. და გასაკვირველი არ არის, რომ გაზეთი „კრასნი კრიმი“ მოწყდა ცხოვრებას, არ აშუქებდა ყირიმის განვითარების ძირითად საკითხებს, დაკარგა თავისი გავლენა და ავტორიტეტი.

ის რედაქტორი, რომელიც ცდილობს გაზეთი გააკეთოს მხოლოდ შტატის თანამშრომელთა ხელით, არღვევს ბოლშევიკური პრესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს — მასობრივობის პრინციპს. აქტივის სულ უფრო მზარდი მონაწილეობა თვითეულ გაზეთს სჭირდება ისევე, როგორც ჰაერი და წყალი სჭირდება თვითეულ ცოცხალ ორგანიზმს.

ავტორთა აქტივის უყოლად გაზეთი ვერ შეძლებს წარმატებით გაართვას თავი დაკისრებულ ამოცანას. ავტორთა აქტივის უყოლობა მოწმობს გაზეთის მოწყვეტას ფართო მასებისაგან. ეს გაზეთის მარტო ნაკლოვანება როდია, ეს გაზეთის არსის, ბოლშევიკური პრესის პრინციპების უხეში დარღვევაა. გაზეთის მოწყვეტა მშრომელთა ფართო მასებისაგან გავლენას ახდენს მთელ მის შინაარსზე, მის სტილზე, რედაქციის მუშაობას ეძლევა კანცელარულ-ბიუროკრატიული ხასიათი, რაც სრულიად უცხოა ბოლშევიკური პრესის ტრადიციებისათვის. ასეთ გაზეთში არ ჩქეფს სიცოცხლე, არ ისმის მკითხველის ცოცხალი ხმა, კორესპონდენციებში არ არის ბოლშევიკური მგზნებარება, ისინი არავის არ აღელვებენ, მათი ენა ღარიბია და უძლური.

მხოლოდ ის გაზეთი, რომელიც მტკიცედ არის დაკავშირებული პარტიულ ორგანიზაციათა, საწარმოთა, კოლმეურნეობათა, კულტურულ-დაწესებულებათა ცხოვრებასთან, რომელიც ამჩნევს ახალ კომუნისტურ ყლორტებს, რომელსაც უნარი აქვს ეძებოს, იპოვოს და დაამყაროს საჭირო კავშირი ავტორთა აქტივთან, გაზეთი, რომელიც სისტემატურად ბეჭდავს მკითხველთა შინაარსიან წერილებს,—მხოლოდ ასეთი გაზეთია ცხოველმყოფელი, ქმედითი, მხოლოდ მისი სიტყვა ჩასწვდება გულში მკითხველს, აამოქმედებს მის აზრს.

ავტორთა აქტივის ფართოდ მოზიდვა ხელს უწყობს გაზეთში კრიტიკისა და თვითკრიტიკის დონის ამაღლებას. დიდმა სტალინმა აღნიშნა შესანიშნავი თვისებები მუშა და სოფლის კორესპონდენტთა ხასიათში — სიმართლით აღგზნება, გამბედა

მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების ქსელში

რესპუბლიკური თათბირი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

5-6 აგვისტოს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში შედგა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც მიეძღვნა პარტიული განათლების სისტემაში გასული სასწავლო წლის შედეგებს და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ამოცანებს. თათბირს დაესწრნენ საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა **კ. ჩარკვიანმა.**

თათბირი გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ვ. ცხოვრებაშვილმა.**

მოხსენება „პარტიული განათლების სისტემაში 1948-49 სასწავლო წლის შედეგებისა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ამოცანების შესახებ“ გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. **გ. ჯიბლაძემ.**

— იდეოლოგიურ საკითხებზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულმა დადგენილებებმა, — თქვა მან, — უდიდესი როლი შეასრულეს პარტიული პროპაგანდისა და კომუნისტების პოლიტიკური განათლების მთელი სისტემის გაუმჯობესების საქმეში. დიდი **სტალინის** მიერ დასახულ ბოლშევიზმის დაუფლების ამოცანას წარმატებით ასრულებენ პარტიული ორგანიზაციები, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრები და კანდიდატები. მათ შეგნებული აქვთ, რომ პარტიული კადრების პოლიტიკურ და თეორიულ მომზადებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მთელ ჩვენს სახელმწიფოებრივ მშენებლობაში, კომუნიზმის ახალ გამარჯვებათა მოპოვებაში.

„ჩვენ რომ შევძლებდეთ,—გვასწავლის ამხანაგი სტალინი,—ჩვენ რომ მოვახერხებდეთ ჩვენი პარტიული კადრები, თავიდან ბოლომდე, იდეოლოგიურად მოვამზადოთ და იმგვარად გამოვწრთოთ ისინი პოლიტიკურად, რომ მათ შეეძლოთ თავისუფლად გარკვევა საერთაშორისო და საშინაო ვითარებაში, ჩვენ რომ შევძლებდეთ გავხადოთ ისინი სავსებით მომწიფებულ ლენინელებად, მარქსისტებად, რომელთაც ენებათ უნარი გადაჭრან სერიოზული შეცდომების დაუშვებლად ქვეყნის ხელმძღვანელობის საკითხები, ჩვენ ამით გადავჭრით ყველა ჩვენი ამოცანის ცხრა მეათედს“.

მომხსენებელი ლაპარაკობს იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა გახორციელეს ჩვენი კადრების იდეურ-პოლიტიკური დონის მკვეთრი ამაღლების მისაღწევად. სერიოზული წარმატებებია მოპოვებული გასულ სასწავლო წელს პარტიული განათლების მთელ სისტემაში. ახასიათებდა რა ამ წარმატებებს, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის XIX საქალაქო კონფერენციაზე ამხანაგი კ. ჩარკვიანი ამბობდა: „საჭიროა განვამტკიცოთ პარტიულ პროპაგანდისა და კადრების მარქსისტულ-ლენინურ სწავლებაში მიღწეული წარმატებები. ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები ყოველდღიურად უნდა მუშაობდნენ პარტიული პროპაგანდის გაუმჯობესების საკითხზე, ვინაიდან მთელი ჩვენი წინსვლა დამოკიდებულია, უწინარეს ყოვლისა, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ყოვლისმძლე მოძღვრებით ჩვენი კადრების შეიარაღების ხარისხზე“.

— ეს წარმატებანი, — განაგრძობს ამხ. ჯიბლაძე, — მოპოვებულ იქნა იმის შედეგად, რომ პარტიული განათლების ქსელის�მი ხელმძღვანელობა და დახმარება გაუმჯობესდა ყველა რგოლში. ასრულებდნენ რა ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** მითითებებს, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს, პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო მეტი ინტერესი გამოიჩინეს კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმისადმი, ძირითადად უზრუნველყვეს როგორც პოლიტსკოლებისა და წრეების სწორად დაკომპლექტება, ისე კვალიფიციურ პროპაგანდისტთა შერჩევა, დაწინაურება და სემინარული მუშაობის გაძლიერება. პოლიტიკური განათლების საქმეს ყოველდღიურ ხელმძღვანელობას უწევდნენ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო, თბილისის, ქუთაისისა და ფოთის საქალაქო, გორის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, თელავის, სამტრედიის, აბაშისა და ცხაკაიას რაიონული პარტიული ორგანიზაციები.

მთელს რესპუბლიკაში პარტიული განათლების სისტემაში სულ ჩაბმული იყო კომუნისტთა 94,2 პროცენტი. სასწავლო პროგრამა მთლიანად გაიარა და გამოშვებულ იქნა 2.569 პოლიტსკოლა 42.695 მსმენელით. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ გავლილი მასალა ღრმად ჰქონდა შეთვისებული 38.141 მსმენელს. დამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრეები. სულ გამოშვებულ იქნა 462 წრე 5.669 მსმენელით. მომავალი სასწავლო წლიდან კიდევ უფრო უნდა გაუმჯობესოთ ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრეების მუშაობა, უზრუნველყოთ ისინი კვალიფიციური პროპაგანდისტებით და წრეებში ფართოდ მივიზიდოთ რიგრიგ კომუნისტები, ისე უპარტიო მშრომელები.

— ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ის სასიამოვნო ფაქტი, — ამბობს ამხ. ჯიბლაძე,—რომ საერთო განათლების სკოლებში 783 კაცმა იმდენად აიმაღლა ცოდნის დონე, რომ მომავალი სასწავლო წლიდან სავსებით თავისუფლად შეძლებს პოლიტსკოლაში მეცადინეობას და ამ გზით ბოლშევიზმის დაუფლებას.

ამ მიღწევებთან ერთად მომხსენებელი განსაკუთრებით ჩერდება ნაკლოვანებებზე, რაც შემჩნეული იყო პოლიტსკოლების გამოშვების დროს მთელ რიგ რაიონებში. მაგალითად, ამ საქმეს ფორმალურად მიუდგნენ ხულოს, ჯავის, ადიგენის, ახალციხისა და ახალქალაქის რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებში, რის შედეგადაც მიეღეთ პოლიტსკოლების მსმენელთა დიდი რაოდენობით გამოშვება. სოხუმის რაიონში კი 16 პოლიტსკოლის 274 მსმენელი უკლებლივ გამოუშვეს, თითქოს ყველას ჰქონდეს გავლილი პროგრამით გათვალისწინებული მასალა. 227 პოლიტსკოლიდან, რომლებიც წელს არ იქნა გამოშვებული, მეტი ნაწილი მოდის ზემო და ქვემო სვანეთის რაიონებზე, რომელთაც აქვთ სპეციფიკურობა — მსმენელთა საგრძნობი ნაწილის გასვლა გარე სამუშაოებზე. ეს, რა თქმა უნდა, მისაღებია მხედველობაში. მაგრამ რა სპეციფიკით შეუძლია თავის მართლება დმანისის რაიონს, სადაც იქ არსებული 17 პოლიტსკოლიდან ვერც ერთმა ვერ გაიარა პროგრამა და არც ერთი არ იქნა გამოშვებული? ამის ნამდვილი მიზეზი ის იყო, რომ პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ყოფილი გამგე ქრისტესიაშვილი და მისი მოადგილე, პარტკაბინეტის გამგე მექვაბიშვილი ძალიან სუსტად მუშაობდნენ.

— პოლიტსკოლების მუშაობაში ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლს გასულ სასწავლო წელს ისიც წარმოადგენდა, — ამბობს მომხსენებელი, — რომ ზოგიერთ რაიონში ხშირად იშლებოდა მეცადინეობა, ადგილი ჰქონდა „ტემპის გაძლიერებას“, აჩქარებას ხარისხის საზიანოდ. კასპის, ბოლნისისა და ადიგენის რაიონებში უკანასკნელ ორ თვეს პოლიტსკოლების დიდი ნაწილი 6-8 თემას გადიოდა, რაც აშკარად ხელს უშლიდა პროგრამის საფუძვლიანად შეთვისებას.

ჩვენი დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრეების კარგ მუშაობასთან ერთად ზოგან იყო წრეების გამოშვებისადმი ფორმალური დამოკიდებულების ფაქტებიც. მაგალითად, გურჯაანის რაიონის სახანძრო რაზმის პირველად პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ წრეში რაიკომის წარმომადგენელმა ამხ. მეტრეველმა თვითეული მსმენელის ცოდნის არსებითი შემოწმების ნაცვლად წრე ხელაღებით გამოუშვა. მიუხედავად იმისა, რომ მსმენელი ღვინიაშვილი შემაჯამებელ მეცადინეობას სრულებით არ დასწრებია, ამხ. მეტრეველმა ის მაინც გამოშვებულად ჩათვალა.

მომხსენებელი განსაკუთრებით შეჩერდა გასულ სასწავლო წელს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ წრეებში პროგრამით გათვალისწინებული მასალის გავლის მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ მთელ რიგ წრეებში პროგრამა ვერ ამოწურეს. როგორც წესი, ამ ტიპის წრეებში სწავლის პირველ წელს უნდა გაეკეთოთ „მოკლე კურსის“ 7-8 თავი, დანარჩენი კი მეორე სასწავლო წელს. შედეგების შეჯამებამ ცხადყო, რომ 1.901 წრემ 34:478 მსმენელით შეძლო „მოკლე კურსის“ 7-8 თავის შესწავლა და ამგვარად სავსებით ნორმალურად დაამთავრა სასწავლო წელი. 119 წრემ 1.908 მსმენელით ვერ მოახერხა პროგრამის გავლა, მეცადინეობა მათ შეწყვიტეს მე-6 თავზე. ეს ის წრეებია, რომლებიც მთელი სასწავლო წლის მანძილზე სუსტად მუშაობდნენ, სუსტი პროპაგანდისტები ჰყავდათ და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებიც ვერ უწევდნენ სათანადო დახმარებასა და კონტროლს.

ამხ. ჯიბლაძემ ილაპარაკა პარტიული განათლების ქსელის სწორად დაკომპლექტების საკითხზე, აღნიშნა ამ საქმეში შარშან დაშვებული შეცდომები და თათბირის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა პარტიული განათლების მთელი სისტემის დაკომპლექტებისას კომუნისტებისადმი ინდივიდუალური მიდგომის აუცილებლობაზე. პარტიული განათლების ქსელში წრეების, პოლიტსკოლებისა და საღამოს რაიონული პარტიული სკოლების დაკომპლექტება უნდა დამთავრდეს ქალაქად 15 სექტემბერს და სოფლად 1 ოქტომბერს, ე. ი. პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის დაწყებამდე ორი კვირით ადრე. ეს ვადები ზუსტად უნდა დავიცვათ.

თავისი მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი ამხ. ჯიბლაძემ მიუძღვნა პარტიული განათლების მთელი სისტემისათვის პროპაგანდისტთა კადრების შერჩევის, მომზადებისა და გადამზადების საკითხებს.

— მარტო სწორი დაკომპლექტება,— ამბობს ამხ. ჯიბლაძე,—ცხადია არ წყვეტს პარტიული განათლების სისტემაში წარმატების საკითხს. თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ პროპაგანდისტი პარტიული განათლების ქსელში ცენტრალური ფიგურაა. ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი ამხანაგი ლ. ბერია საქართველოს კ. პ. (ბ) X ყრილობაზე ამბობდა: „პროპაგანდისტი პარტიული განათლების წამყვან ფიგურას წარმოადგენს. პროპაგანდისტებად უნდა იყვნენ პარტიულად მტკიცე, პოლიტიკურად მომზადებული კომუნისტები პარტიული აქტივიდან. ამისათვის აუცილებელია კარგად მოეწყოს პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობა, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა და პარტიის ისტორიის შესწავლა სემინარებში, შემოღებულ იქნას პრაქტიკაში პროპაგანდისტთა თათბირების რეგულარული მოწვევა მიმდინარე პოლიტიკის საკითხთა გასახილველად და ძოეწყოს პროპაგანდისტთა მომზადება და გადამზადება“.

საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობა ავიყვანოთ მაღალ საფეხურზე. როგორც წესი, პროპაგანდისტთა სემინარები მუშაობას უნდა იწყებდნენ სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი თვით-თვენახევრით ადრე, მაშასადამე, ქალაქად 15 აგვისტოდან, ხოლო სოფლად 1 სექტემბრიდან. ეს ხელს შეუწყობს თავიდანვე სწავლების ორგანიზებულად დაწყებას, ძის მაღალხარისხოვნად ჩატარებას.

პარტიული კაბინეტები პოლიტიკური განათლების ოპერატიული კერებია, რომლებიც ყოველდღიურად ეხმარებიან და კონტროლს უწევენ პარტიული განათლების ძთელი ქსელის მუშაობას. საკავშირო კ. პ . (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა იაროსლავლის საოლქო პარტორგანიზაციის შესახებ მიღებულ დადგენილებაში აღნიშნა, რომ პარტიული კაბინეტების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს სისტემატური დახმარება გაუწიონ პროპაგანდისტებს მეცადინეობისათვის მათ მზადებაში და იმ კომუნისტებს, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას დამოუკიდებლად სწავლობენ. ამ მიზნით პარტკაბინეტებმა უნდა მოაწყონ კონსულტაციები თეორიულ და მეთოდურ საკითხებზე, ლიტერატურისა და სახელმძღვანელოების გამოფენები, თემების მიხედვით შეადგინონ დიაგრამები, ბიბლიოგრაფიული ძიმოხილვები. პარტკაბინეტების დახმარების შედეგად თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის საქმე. პარტიის 60 ათას წევრსა და კანდიდატს, რომლებიც წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობდნენ, დახმარებას უწევდა 3.488 კონსულტანტი.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა პარტიული ორგანიზაციების მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელი ამხანაგებისადმი დახმარების საკითხზე. დიდი მუშაობა ჩატარდა გასულ სასწავლო წელს ამ მიმართულებით. მაგრამ დამოუკიდებელი სწავლების ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თუ ერთი მხრივ დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების ნაწილს არ შეუდგენია ინდივიდუალური სამუშაო გეგმა, მეორე მხრივ, გეგმის მქონე ამხანაგების ნაწილი სისტემატურად და თანმიმდევრულად არ მუშაობდა თავისი თეორიული დონის ამაღლებისათვის, ამავე დროს პარტიული ორგანიზაციებიც მათ ვერ უწევდნენ სათანადო დახმარებასა და კონტროლს.

ამხ. ჯიბლაძემ კონკრეტული ფაქტებით ცხადყო დამოუკიდებელი სწავლების მთელი რიგი ნაკლოვანებანი და არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ჭიათურის, ახალციხის, ზემო სვანეთის, ზნაურის, კაჭრეთის, ქლუხორის, ბოლნისისა და საგარეჯოს რაიონების პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებიდან.

— ჩვენი ამოცანაა,—ამბობს მომხსენებელი,—გამოვასწოროთ ამ საქმეში არსებული ნაკლი, უზრუნველვყოთ ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაძლიერება წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისადმი. ახალი სასწავლო წლიდან დამოუკიდებელ სწავლებაში ფართოდ უნდა ჩავაბათ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, სამეურნეო მუშაკები და არსებითად უზრუნველყოთ მათ მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის წარმატებით დაუფლება.

მომხსენებელი ლაპარაკობს კომუნისტების პოლიტიკური განათლების დარგში ლექციური პროპაგანდის, პარტიული და საბჭოთა აქტივის მუდმივმოქმედი სემინარებისა და საღამოს რაიონული პარტიული სკოლების როლსა და მნიშვნელობაზე, აღნიშნავს ამ მიმართულებით მოპოვებულ წარმატებებსა და არსებულ ნაკლოვანებებს, დაწვრილებით ჩერდება პარტიის თბილისის კომიტეტთან და ქუთაისის საქალაქო კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტების მუშაობაზე, რომლებიც აქტივის თეორიული დონის ამაღლების მძლავრ საშუალებას წარმოადგენენ. მიმდინარე წელს საღამოს უნივერსიტეტები შეიქმნა საქართველოს კ. პ. (ბ) ბათუმისა და სოხუმის საქალაქო კომიტეტებთან.

ამხ. ჯიბლაძე თათბირის ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებს კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლებისადმი დახმარების გაძლიერებაზე. ამ მიმართულებით საჭიროა განუხრელად „განვახორციელოთ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დავალება. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ ბოლშევიკური პარტიის რეზერვის — ლენინურ-სტალინური კომკავშირისათვის პოლიტიკური განათლების გაუმჯობესების საქმეში და კიდევაც უნდა გაუწიონ მას ყოველმხრივი დახმარება.

მომხსენებელი ჩერდება კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმეში ბოლშევიკური პრესის როლსა და მნიშვნელობაზე და აღნიშნავს ამ დარგში არსებულ ნაკლოვანებებს.

—ჩვენი გაზეთები,—ამბობს მომხსენებელი,—უფრო მეტად უნდა დაეხმარონ პარტიულ ორგანიზაციებს კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებაში, ფართოდ გააშუქონ პარტიული განათლების ქსელის მუშაობა, ხშირად მოათავსონ თავის ფურცლებზე საუკეთესო ლექტორთა წერილები, კონსულტაციები, პასუხები შეკითხვებზე, განაზოგადონ მოწინავე პროპაგანდისტთა გამოცდილება. საჭიროა გაზეთებმა ოპერატიულად გააშუქონ ახალი სასწავლო წლისათვის მზადება და დროულად ამხილონ ნაკლოვანებები.

დასასრულ მომხსენებელმა თათბირის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა უცხოური კულტურის წინაშე ქედის მოხრის, ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმისა და ანტიპატრიოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაზე.

— საბჭოთა ხალხი,—ამბობს ამხ. ჯიბლაძე, — ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით განაგრძობს მეოთხე სტალინური ხუთწლედის გრანდიოზულ მშენებლობას, აძლიერებს სოციალისტურ სამშობლოს, მტკიცედ იცავს მსოფლიოში მშვიდობის საქმეს და **ლენინ-სტალინის** დიადი დროშით, დიდი **სტალინის** გენიალური წინამძღოლობით ახორციელებს კომუნიზმს!

და რაც უფრო წარმატებით დავეუფლებით მარქსიზმ-ლენინიზმს, რაც უფრო გავაუმჯობესებთ პარტიულ პროპაგანდას, რაც უფრო გავაძლიერებთ მასების კომუნისტურ აღზრდას, მით უფრო ძლიერი იქნება ჩვენი ქვეყანა, მით უფრო ბედნიერად იცხოვრებენ ჩვენი ადამიანები. რაც უფრო წარმატებით დავეუფლებით საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, რაც უფრო ღრმად შევისწავლით მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე თეორიას, მით უფრო „ჩვენი კადრები ნამდვილად უძლეველნი გახდებიან და ამ თეორიის დროშის ქვეშ, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო წარმატებით წაიყვანენ მთელ საბჭოთა ხალხს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ“.

• • •

მოხსენების გამო გაცხოველებული კამათი გაიმართა.

კამათი დაიწყო საქართველოს კ.პ. (ბ) გორის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. **ა. ნოზაძის** გამოსვლით.

ილაპარაკა რა კომუნისტთა პოლიტიკურ თვითგანათლებაზე, ამხ. ა. ნოზაძემ მოიყვანა მაგალითები საუკეთესო კონსულტანტების ამხ. ნუცუბიძის, მიხელაშვილის, ჩხიკვაძისა და სხვათა გამოცდილებიდან. მათი დახმარებით 28 კომუნისტმა დაწერა შინაარსიანი რეფერატები ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის თემებზე. ახალ სასწავლო წელს ეს კომუნისტები, პარტიული ორგანიზაციების სათანადო დახმარებით, შეიძლება გამოყენებულ იქნან პოლიტსკოლების ხელმძღვანელებად.

საქართველოს კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. **კ. ცაცუას** გამოსვლა მოწმობდა, რომ რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ გაითვალისწინა გასული სასწავლო წლის შედეგები და ახლა ჯეროვნად იყენებს ზაფხულის თვეებს პროპაგანდისტული კადრების მოსამზადებლად, პოლიტსკოლებისა და წრეების დასაკომპლექტებლად.

სამტრედიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. **ს. ბოცვაძემ** თავისი გამოსვლა მიუძღვნა კომუნისტთა თვითგანათლების საკითხებს და, კერძოდ, ილაპარაკა კონსულტანტთა მუშაობის ფორმებსა და მეთოდებზე. საინტერესოა კონსულტანტ ამხ. წილოსანის გამოცდილება. სანამ კომუნისტი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოების შესწავლას დაიწყებდა, კონსულტანტი თვითეულ მათგანთან ატარებდა წინასწარ საუბარს, აცნობდა ამ ნაწარმოების შინაარსს, ურჩევდა დამატებით ლიტერატურას. სწავლის მსვლელობაში კონსულტანტი კონტროლს უწევდა თვითგანათლებაზე მომუშავეებს, ამოწმებდა, თუ რამდენად ღრმად შეითვისეს მათ გავლილი მასალა, ეხმარებოდა წაკითხულის გაგებაში, რჩევას აძლევდა, თუ როგორ უნდა წიგნზე მუშაობა, თვალყურს ადევნებდა თვითგანათლების პირადი გეგმის შესრულებას.

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. **გ. რუხაძემ** აღნიშნა, რომ საქალაქო კომიტეტი ხშირად იწვევდა თათბირებს პროპაგანდისტთა გამოცდილების გასაზიარებლად. თვითეული მორიგი თემისათვის პარტიული კაბინეტი არჩევდა პროპაგანდისტებისათვის სპეციალურ და საცნობარო ლიტერატურას, აწყობდა წიგნის ვიტრინებს.

ქალაქის პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც პოლიტიკური განათლებისადმი ხელმძღვანელობის ცოტა გამოცდილება როდი შეიძინეს, ახლა უფრო ორგანიზებულად შეუდგნენ პოლიტსკოლებისა და წრეების დაკომპლექტებას. პარტბიუროების მდივნები პირადად ესაუბრებიან კომუნისტებს, ეხმარებიან მათ აირჩიონ სწავლის ყველაზე შესაფერისი ფორმა.

ამხ. გ. რუხაძე შეჩერდა ლექციური პროპაგანდის საკითხებზე და აღნიშნა, რომ საჭიროა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის სტენოგრამების უფრო ფართოდ გავრცელება.

პროპაგანდისტთა სემინარების ხელმძღვანელების დადებით გამოცდილებაზე უამბო თათბირს თბილისის პარტორგანიზაციის ბერიას რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. **ე. ლებანიძემ.** სემინარის ხელმძღვანელი ამხ. ეუნეუკოვი არ სჯერდება ლექციებს მორიგ თემებზე, ხშირად თვითონ ესწრება წრეების მეცადინეობას, გულდასმით სწავლობს პროპაგანდისტთა გამოცდილებას, აღნიშნავს ნაკლოვანებებს თემის გადაცემაში, სწავლების მეთოდიკაში.

— გასულ სასწავლო წელს,—ამბობს ზუგდიდის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. **კ. ეგუტია,**—კომუნისტთა უმრავლესობამ მნიშვნელოვნად აიმაღლა პოლიტიკური ცოდნის დონე, ისწავლა კონსპექტების შედგენა, წაკითხულის ჩაწერა, თეორიულ კონფერენციებზე მოხსენებებით გამოსვლა. პროპაგანდის მაღალი დონე, უწინარეს ყოვლისა, განისაზღვრება პროპაგანდისტთა კადრების შემადგენლობით. სასწავლო წლის დაწყებამდე პარტიის რაიკომმა მოაწყო ხუთდღიანი სემინარი, რომელზეც პროპაგანდისტები დაწვრილებით გაეცნენ სასწავლო გეგმებს, მიიღეს მეთოდური რჩევა-დარიგება და მითითება, მოისმინეს ლექციები პროგრამის ძირითადი თავების მიხედვით.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად ახალი სასწავლო წლისათვის პროპაგანდისტთა კადრების მომზადებას მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის პარტიული კაბინეტის გამგემ ამხ. **ნ. წიტაიშვილმა,** ახალციხის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. **შ. დარახველიძემ,** საგარეჯოს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. **შ. გრიგოლაშვილმა.**

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების საქართველოს განყოფილებამ მოსახლეობაში მოაწყო 3 ათასამდე ლექცია სხვადასხვა პოლიტიკურ და მეცნიერულ-პოპულარულ თემაზე, 85 ათასი ეგზემპლარის ტირაჟით გამოსცა 11 ლექციის სტენოგრამა.

მაგრამ, აღნიშნა კამათში გამოსულმა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **ვ. მაჭავარიანმა,** ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული ყველა შესაძლებლობა ლექციური პროპაგანდის უფრო ფართოდ გასაჩაღებლად. საზოგადოების განყოფილებები ჯერჯერობით მხოლოდ საქართველოს 40 რაიონშია. სოფლის ინტელიგენცია—ექიმები, აგრონომები, აგროტექნიკოსები, უხვი მოსავლის ოსტატები საკმაოდ არ არიან ჩაბმულნი საზოგადოებაში, იშვიათად კითხულობენ ლექციებს.

საქართველოს კ. პ. (ბ) მარნეულის რაიკომის პარტკაბინეტის გამგის ამხ. **დ. მამედოვის** გამოსვლა ძირითადად შეეხებოდა რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას. რაიონში პროპაგანდისტული მუშაობის სირთულე. პარტიის რაიკომს ავალებს მეტი იზრუნოს პროპაგანდისტული კადრების მომზადებისათვის, გაითვალისწინოს პარტორგანიზაციის შემადგენლობის თავისებურება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების დამოუკიდებლად შესწავლისათვის ლექციებისა და კონსულტაციების მოწყობის დროს.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. **ვ. მელქაძემ** აღნიშნა, რომ ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა გაუმჯობესეს კომუნისტთა პოლიტიკური სწავლისადმი ხელმძღვანელობა და, კერძოდ, გააძლიერეს კონტროლი პოლიტიკური თვითგანათლებისადმი. ქალაქის პარტიულ ორგანიზაციაში კომუნისტთა ნახევარზე მეტი დამოუკიდებლად სწავლობს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას.

—მაგრამ ამ საქმეში, — ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ვ. მელქაძემ,—ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებაა. თვითგანათლებაზე მომუშავე კომუნისტთა მნიშვნელოვან ნაწილს ჯერ კიდევ არა აქვს პირადი სასწავლო გეგმები, ხოლო ერთი ნაწილი იმათგან, ვინც გეგმებს ადგენს, არ ასრულებს ამ გეგმებს, აჭიანურებს ზოგიერთი ნაწარმოების შესწავლის ვადას. პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც პოლიტიკური სწავლისადმი ხელმძღვანელობის დიდი გამოცდილება შეიძინეს, ზომებს იღებენ ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

—წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციების მიზეზით,—თქვა ტყიბულის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. **თ. ბრეგაძემ,**— რაიონში დიდი დაგვიანებით მოაქვთ ლიტერატურა. მაგალითად, პოლიტსკოლების პროგრამის მე-11 და მე-12 თემების სახელმძღვანელოები ტყიბულში მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც მსმენელებმა დაამთავრეს ამ თემების შესწავლა. წესიერად არ მოდის რაიონში გაზეთები და ჟურნალები. „სოფუზპეჩატი“ ხშირად სრულად არ გზავნის ლიტერატურას.

საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. **ვ. ადამიამ** დაწვრილებით ილაპარაკა პარტიული განათლების ქსელში გასული სასწავლო წლის შედეგებზე და წრეებსა და პოლიტსკოლებში მომავალი მეცადინეობებისათვის მოსამზადებელ ღონისძიებებზე და აღნიშნა, რომ რესპუბლიკური გაზეთები იშვიათად ბეჭდავენ მეთოდური ხასიათის სტატიებს პროპაგანდისტების დასახმარებლად.

საქართველოს კ. პ. (ბ) ბორჩალოს საოლქო კომიტეტის მდივანმა, ამხ. **მ. კუბლაშვილმა** დაწვრილებით ილაპარაკა ლექტორთა ჯგუფების მუშაობაზე. საოლქო კომიტეტის ლექტორები, როგორც წესი, ესწრებიან ლექტორთა ჯგუფების თათბირებს რაიკომებში, ეხმარებიან ადგილობრივ მუშაკებს ლექციათა და მოხსენებათა თემების შერჩევაში, თეზისების შედგენაში, მონაწილეობენ ლექციების განხილვაში. ყველა ძირითადი ლექციის რეცენზირების პრაქტიკა შესაძლებლობას იძლევა განუხრელად გავაუმჯობესოთ ლექციების ხარისხი. ამჟამად საოლქო კომიტეტის ლექტორებმა მოამზადეს ლექციათა ციკლი, მიძღვნილი ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბათუმის პერიოდისადმი.

იმ კომუნისტ მეცხოველეთა პოლიტიკური განათლების ორგანიზაციის საკითხი, რომლებიც საძოვრებზე საკოლმეურნეო ჯოგებს ემსახურებიან, აღძრა თათბირზე საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. **ი. თედიაშვილმა.**

კომკავშირელთა და ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლებისადმი პარტიულ ხელმძღვანელობაზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. კინწურაშვილმა.** წარმატების მოპოვება კომკავშირელთა პოლიტიკურ სწავლაში, მთელი ახალგაზრდობის იდეურ აღზრდაში შეუძლებელია ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობის გარეშე. და თუ ახალციხის, წითელწყაროს და ზოგიერთ სხვა რაიონში კომკავშირელთა პოლიტიკური განათლება სათანადოდ არაა დაყენებული, ეს იმის შედეგია, რომ პარტიის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ამ საქმეს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების პროპაგანდის სექტორის გამგემ ამხ. **ვ. ესაიაშვილმა** თათბირის მონაწილეებს გააცნო საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეებისა და პოლიტსკოლების გეგმები და პროგრამები, რომლებიც შემუშავებულია ახალი სასწავლო წლისათვის და კერძოდ ის ცვლილებები, რომლებიც ამ გეგმებშია შეტანილი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხ. **დ. რამიშვილმა** (ქლუხორი), **პ. ყურაშვილმა** (აბაშა), **ი. ბალაშვილმა** (წითელწყარო) და **მ. გოცირიძემ** („სოიუზპეჩატი“).

მომხსენებელმა ამხ. **გ. ჯიბლაძემ** საბოლოო სიტყვაში პასუხი გასცა თათბირის მონაწილეთა შეკითხვებზე.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტ

კაპიტალისტური ქვეყნების ხალხები შიმშილისა და უმუშევრობის წინაშე

უმუშევრობისა და სამუშაოთი უზრუნველყოფის საკითხის განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს სესიაზე

ჟენევა, 9 აგვისტო. (საკდესი). ეკონომიური და სოციალური საბჭო შეუდგა უმუშევრობისა და სამუშაოთი სრული უზრუნველყოფის საკითხის, აგრეთვე საბჭოს იმ კომისიის მოხსენების განხილვას, რომელიც ეკონომიკისა და სამუშაოთი უზრუნველყოფის საკითხებზე მუშაობს. უმუშევრობის საკითხი საბჭოს განსახილველად დაისვა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ინიციატივით. თავმჯდომარის ტორნის (ახალი ზელანდია) შესავალი სიტყვის შემდეგ გამოვიდა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარე დი ვიტორიო.

დი ვიტორიოს გამოსვლა

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, თქვა დი ვიტორიომ, პირველად როდი მუშაობს უმუშევრობისა და სამუშაოთი სრული უზრუნველყოფის საკითხებზე. ეკანონსკნელი სამი წლის მანძილზე იგი ამ საკითხებზე გამოდიოდა არამთავრობის ორგანიზაციათა კომიტეტის წინაშე და ვაჭრობისა და მუშახელის გამოყენების საკითხთა საერთაშორისო კონფერენციის მოსამზადებელი კომიტეტის წინაშე. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია უკვე მაშინ ამბობდა დაჟინებით, რომ საჭიროა ამაღლდეს მასების ცხოვრების დონე, ხელი შეეწყოს სხვადასხვა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, გაფართოდეს შინაბაზარი, წინააღმდეგობა გაეწიოს ტრესტებისა და მონოპოლიების დამღუპველ გავლენას, რომლებიც ჯერ ეგრეთ წოდებულ ვაჭრობის თავისუფლებას, შემდეგ კი მარშალის გეგმას ამოეფარნენ და შეძლეს მრავალი ქვეყნისათვის თავს მოეხვიათ თავიანთი სასურველი პოლიტიკა, რასაც ზოგ ქვეყანაში მოჰყვა უმუშევრობა და ზოგში — ამ უმუშევრობის ზრდა.

სამწუხაროდ, განაგრძო დი ვიტორიომ, ყურად არ იღეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ხმა. ამის შედეგი ახლა სულ უფრო აშკარად ჩანს თავს. უკანასკნელ თვეებში ცდილობდნენ შეემცირებინათ უმუშევრობის ზრდის საკითხის მნიშვნელობა, სადაოდ ხდიდნენ მომავალი კრიზისის სიმპტომებს. მაგრამ დღეს ასეთ პოზიციაზე დგომა შეუძლებელია ხდება. მსოფლიოს ეკონომიური მდგომარეობის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს მიერ გამოქვეყნებული მოხსენება მხოლოდ ადასტურებს და განამტკიცებს იმ დოკუმენტაციას, რომელიც პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ ამ საკითხებზე შეკრიბა.

საბჭოსათვის წარდგენილ მასალებში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია აღნიშნავს, რომ ამა წლის გაზაფხულზე უმუშევართა რიცხვი მნიშვნელოვნად გადიდდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ამ დოკუმენტებში მოყვანილი ციფრები, აგრეთვე უფრო ვვანდელი ოფიციალური მასალები მოწმობენ, რომ არსებობს უმუშევართა რიცხვის შემდგომი გადიდების ტენდენცია.

დი ვიტორიო ამხილებს ბურჟუაზიული ეკონომისტების მტკიცებას, რომლებიც ირწმუნებიან, თითქოს უმუშევრობა არა მარტო გარდუვალია, არამედ „აუცილებელიც“ კი არის. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უმუშევრობა დაკავშირებულია კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიურ და სოციალურ სტრუქტურასთან და განაცხადა, რომ იმ ქვეყნებში, სადაც მოსპობილია კერძო საკუთრება წარმოების იარაღებზე, უმუშევრობაც აღმოფხვრილია. ამავე დროს დასავლეთ ევროპაში, მისი უმეტესი ეკონომიური აყვავების პერიოდშიც კი, უმუშევრობა, როგორც ეს აღიარებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის მოხსენებაშიც, იშვიათად ყოფილა 4 პროცენტზე ნაკლები. კაპიტალისტურ საზოგადოებას სამუშაოთი სრული უზრუნველყოფა მხოლოდ ომის დროს შეუძლია განახორციელოს.

დი ვიტორიომ მოგონა სხდომას, რომ ოფიციალური ცნობები სხვადასხვა ქვეყანაში უმუშევართა რაოდენობის შესახებ მხოლოდ მეტად დაშორებით ასახავენ ნამდვილ მდგომარეობას. გარდა ამისა, ციფრები იზოლირებულად კი არ უნდა ავიღოთ, არამედ განსახილველი ქვეყნების ეკონომიკაში არსებულ ზოგად ტენდენციასთან დაკავშირებით. მაგალითად, საფრანგეთში, თუმცა ჩანს უმუშევრობის ზრდა, მაგრამ უმუშევართა რაოდენობის აბსოლუტური ციფრები შედარებით ჯერ კიდევ უმნიშვნელოა. მდგომარეობის სერიოზულობა აშკარა გახდება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეგრეთ წოდებული „მონეს გეგმა“ 1946 წელს თვალსაწინებად საფრანგეთის მრეწველობის ინდუსტრიალიზაციასა და ხელახალ მოწყობას. ამასთან დაკავშირებით საფრანგეთში მნიშვნელოვანი რაოდენობის უცხოელი მუშების იმიგრაციაც კი დაიგეგმა, მაგრამ ის არ განუხორციელებიათ. მიუხედავად ამისა, უმუშევართა რიცხვი საფრანგეთში გადიდდა.

კაპიტალისტების მოგება მატულობს, მუშათა ხელფასი მცირდება

შემდეგ დი ვიტორიომ განიხილა ის მიზეზები, რომლებიც უმუშევრობას ამწვავებენ. მათ შორის, თქვა მან, უეჭველია, ყველაზე მნიშვნელოვანია მშრომელი მასების მყიდველობითი უნარის შემცირება და მათი გაღატაკება. ამავე დროს მატულობს კაპიტალისტური მონოპოლიების შემოსავალი. ამერიკის შეერთებულ შტატებში მსხვილი კომპანიების მოგებამ გადასახადის გამოკლებით 1939 წელს 7 მილიარდი დოლარი შეადგინა, 1947 წელს მოგებამ 18 მილიარდ დოლარს მიაღწია, ხოლო 1948 წელს — 21 მილიარდ დოლარს.

უდიდესი განსხვავებაა კაპიტალისტურ საწარმოთა წარმოების უნარსა და მასების მყიდველობით უნარს შორის. 1945 წლის ივნისთან შედარებით ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაოთი უზრუნველყოფილი მუშების მყიდველობითი უნარი 12-დან 17 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო თუ უმუშევრებს მივიღებთ მხედველობაში — 25 პროცენტამდე.

შემდეგ დი ვიტორიომ მოიყვანა ცნობები, რომლებიც ახასიათებენ ბელგიის, დასავლეთ გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და დასავლეთ ევროპის მთელი რიგი სხვა ქვეყნების მშრომელთა მძიმე მდგომარეობას. მშრომელთა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა იმ ქვეყნებში, სადაც წინათაც დაბალი ცხოვრების დონე იყო, მაგალითად იტალიაში. იტალიაში ამჟამად ითვლება ორ მილიონზე მეტი უმუშევარი, რომელთაც უფლება აქვთ 6 თვის განმავლობაში მიიღონ დახმარება დღეში 220 ლირის ანგარიშით, აგრეთვე სამი მილიონი პენსიონერი, რომლებიც სამუალოდ 4 ათასამდე ლირას იღებენ თვეში. ამრიგად, იტალიის ყოველ ოჯახზე თითო უმუშევარი ან პენსიონერი მოდის. იტალიელ მშრომელთა სიღატაკის ნათელი წარმოდგენა რომ გვქონდეს, ამისათვის საკმარისია ითქვას, რომ, იფიციალური ცნობების თანახმად, ოთხი კაცისაგან შემდგარი ოჯახისათვის თვიური საარსებო მინიმუმი 1949 წლის იანვარში 60 ათასი ლირით განსაზღვრა. ამავე დროს საშუალო ხელფასი იტალიაში თვიურად 25-27,5 ათას ლირას არ აღემატება.

გადავიდა რა ინგლისის ეკონომიური მდგომარეობის განხილვაზე, დი ვიტორიომ აღნიშნა, რომ, თუმცა ამჟამად უმუშევართა რიცხვი ინგლისში ისე დიდი არ არის, მაგრამ უმუშევრობა ამ ქვეყანაში გასულ წელთან შედარებით გაძლიერდა, მიუხედავად იმისა, რომ არმიაში მყოფ პირთა რიცხვი 430 ათასით აღემატებოდა 1939 წლის სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობას.

ამ შემთხვევაში, თქვა დი ვიტორიომ, საჭიროა კვლავ მივაპყროთ განსაკუთრებული ყურადღება კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის ძირითად ტენდენციებს. ინგლისში რომ სამუშაოთი უზრუნველყოფა შედარებით მაღალია, ეს იმ პოლიტიკის განხორციელების შედეგი კი არ არის, რომლის მიზანიცაა მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება. არამედ, პირიქით, იგი დაკავშირებულია მოხმარების შეზღუდვისა და ექსპორტის გადიდების პოლიტიკასთან. ინგლისელი მუშის რეალური ხელფასი მცირდება. დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეები უგულებელყოფენ შინაბაზრის გაფართოების პრობლემას, რაც კერძოდ იქიდან ჩანს, რომ 1949 წელს გათვალისწინებული კაპიტალდაბანდებანი თვით დიდ ბრიტანეთშიც კი 1.755 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენენ 1948 წლის 1.850 მილიონ გირვანქა სტერლინგთან შედარებით. რაც შეეხება ექსპორტს, კარგად არის ცნობილი, თუ რა სიძნელეებს აწყდება ექსპორტი დოლარის ზონის ქვეყნებში, აგრეთვე, თუ რა ღონისძიებანი ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ინგლისის ექსპორტის შესამცირებლად.

„მარშალის გეგმამ“ დასავლეთ ევროპაში უმუშევრობის ზრდა გამოიწვია

შემდეგ დი ვიტორიო შეეხო მარშალის გეგმის დახასიათებასა და ამ გეგმის გავლენის დასავლეთ ევროპის ქვეყნებში უმუშევრობის ზრდაზე. ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეეწყო პროდუქციის ზრდისა და სამუშაოთა უზრუნველყოფის გადიდებისათვის, როგორც ამას ერთ დროს მარშალის გეგმის დამცველნი ქადაგებდნენ, ამ გეგმამ წარმოების შეკვეცა და უმუშევართა რიცხვის შემდგომი გადიდება გამოიწვია დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. ამ გეგმის ერთ-ერთი შედეგია დეფლაცია. სანამ კრედიტების შეზღუდვას საფრანგეთში ვამოიყენებდნენ, ეს შეზღუდვა განხორციელდა ბელგიაში ეგრეთ წოდებული გუტის გეგმის თანახმად და იტალიაში ეინაუდის გეგმის მიხედვით. ამ ღონისძიებებს ყველგან ერთი და იგივე შედეგი მოჰყვა: მათ ხელი შეუწყეს კაპიტალის კონცენტრაციას და აფერხებდნენ სამრეწველო განვითარებას. ბელგია, იტალია, და საფრანგეთი, როგორც ცნობილია, მარშალიზებული ქვეყნების შემადგენლობაში არიან. ზემოაღნიშნული ღონისძიებანი ოფიციალურად მიიწონეს და მათ მხარი დაუჭირეს ამერიკის მთავრობამ და მარშალის გეგმის ადმინისტრაციამ. ამ ადმინისტრაციის დირექტორმა პოუმანმა მკაცრად გააკრიტიკა საფრანგეთის ბანკები მათი „ლიბერალიზმისათვის“ და დაჟინებით მოითხოვა საკრედიტო ოპერაციების შეზღუდვა. კრედიტების ნაკლებობის შედეგად ბევრი წვრილი საწარმო იძულებული გახდა შეეწყვიტა თავისი საქმიანობა, რამაც უფრო გაადიდა უმუშევართა რიცხვი.

კრედიტების შეზღუდვა, განაგრძო დი ვიტორიომ, გასაგები ხდება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მარშალის გეგმა ითვალისწინებს ევროპაში და ევროპის სახელმწიფოთა კოლონიებში ამერიკის მხრივ დიდ კერძო კაპიტალდაბანდებას. ევროპაში კაპიტალის ექსპორტისათვის ამერიკულ მონოპოლიებს ესაჭიროებათ არა მარტო სათანადო პოლიტიკური ვითარება, არამედ მრეწველობის საკმაო კონცენტრაციაც. ამრიგად, კრედიტების შეზღუდვა ნიადაგს უმზადებს ამერიკულ ინვესტიციებს.

მარშალის გეგმა აფერხებს იმ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, სადაც მას ახორციელებენ. საფრანგეთი იძულებული გახდა ერთი მესამედით შეემცირებინა მის მიერ წინათ შემუშავებული პროგრამა თავისი მრეწველობის მოდერნიზაციისა და ხელახალი მოწყობისა და გაიდებინა სასოფლო-სამეურნეო სექტორის პროდუქცია. ამით ფერხდება საფრანგეთის ეკონომიური განვითარება და უმუშევრობის საფრთხე სულ უფრო რელიეფურად გვევლინება.

დი ვიტორიომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მარშალის გეგმამ კი არ აღმოფხვრა, არამედ უფრო გაამწვავა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებული წინააღმდეგობანი.

შემდეგ მან აღნიშნა, რომ შეზღუდვები, რასაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობაში იყენებენ, აგრეთვე მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს უმუშევრობის გადიდებას და დაკავშირებული არიან მარშალის გეგმის განხორციელებასთან. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს მოხსენება მსოფლიო ეკონომიური მდგომარეობის შესახებ აღიარებს, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ზონის ვაჭრობის პრობლემა მით უფრო დაჟინებით მოითხოვს გადაწყვეტას, რომ ამჟამად იგი ძირითადად გამოიხატება აღმოსავლეთ ევროპიდან დასავლეთში საქონლის შეტანის გაძლიერებით.

მოხსენებაში მოყვანილი ცნობები მეტად საგულისხმოა: აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ვაჭრობის ინდექსმა 1948 წელს 288 შეადგინა, 1938 წელს კი 100 იყო. დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის შესაბამისი ინდექსი იყო 72, ხოლო აღმოსავლეთ ევროპასთან მათი ვაჭრობისა — 42. დი ვიტორიომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სავაჭრო ურთიერთობის შეზღუდვის ასეთი პოლიტიკის ამოცანაა დასავლეთ ევროპის ქვეყნები კიდევ უფრო მეტად დამოკიდებული გახადონ ამერიკის ეკონომიკაზე.

შემდეგ დი ვიტორიომ ილაპარაკა ომისათვის მზადების პოლიტიკასთან დაკავშირებული სახელფრო ხარჯების ზრდის შესახებ. ამ ზრდამ თავისი განსახიერება პოვა ჩრდილოეთ-ატლანტიკის ხელშეკრულებაში. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ თავს მოხვეული ამ პოლიტიკის შედეგად მარშალიზებული ქვეყნები იძულებული არიან გაადიდონ თავიანთი სამხედრო ხარჯები ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის საზიანოდ.

საჭიროა დავიცვათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია ფიქრობს, — თქვა დი ვიტორიომ, — რომ იმ მიზეზების გამოაშკარავებით, რომლებიც ბოროტებას იწვევენ, უფრო ადვილია დავარწმუნოთ ადამიანები ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებაში. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ასეთი ბრძოლის ყველაზე ეფექტიანი საშუალებანი, ვემყარებოდით რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 55-ე მუხლი ადგენს, რომ ცხოვრების დონის ამაღლება და სამუშაოთა სრული უზრუნველყოფა წარმოადგენს ეუცილებელ პირობას სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად.

ამავე დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბევრი წევრი სახელმწიფო დაშორდა ამ ამოცანის განხორციელებას, ეწევა პრლიტიკას, რომელმაც გამოიწვია მოსახლეობის ცხოვრების დონის შემცირება და მშრომელი მასების გაღატაკება, უმუშევრობის ზრდა, სრული თუ ნაწილობრივი, ფარული თუ აშკარა ეკონომიური კრიზისი. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია ფიქრობს, რომ ეკონომიური და სოციალური საბჭო ვალდებულია აღნიშნოს შეუთანხმებლობა, რაც არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებსა და იმ მდგომარეობას შორის, რომელიც ამჟამად არსებობს მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილში. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია სთხოვს საბჭოს მოუწოდოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს დაიცვან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპები, მიიღონ კონკრეტული ზომები, რომლებიც შეასუსტებენ ტრესტებისა და კაპიტალისტური მონოპოლიების გავლენას, განახორციელონ საჭირო ეკონომიური რეფორმები, მოახდინონ წარმოების მთავარი დარგების ნაციონალიზაცია, შეამცირონ სამხედრო ხარჯები და ამავე დროს გაფართოონ საწარმოო საზოგადოებრივ სამუშაოთა პროგრამა.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას მიაჩნია, რომ ასეთ პასუხსაგებ მოვალეობაში იგი მოვალეა საზოგადოებრივობის ყურადღება მიაქციოს უმუშევრობის საკითხის სერიოზულობას და მოითხოვოს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა ყველა ღონე იხმარონ უმუშევრობასთან საბრძოლველად. ეკონომიური და სოციალური საბჭო არის ორგანო, რომლის მოვალეობაა წარმართოს სახელმწიფოთა ეკონომიური და სოციალური პოლიტიკა საერთაშორისო მასშტაბით. ამიტომ მისი ვალია პირველმა აღნიშნოს უმუშევრობის მზარდი საფრთხე, პირველმა მოგვცეს საგანგაშო სიგნალი და წარმოადგინოს სასწრაფო ღონისძიებანი ამ უბედურებასთან საბრძოლველად. რაც შეეხება პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას, მას მიაჩნია, რომ საბჭოს წინაშე უმუშევრობისა და სამუშაოთი უზრუნველყოფის საკითხის დაყენებით მან შეასრულა თავისი ამოცანა და დაამტკიცა, რომ თავისი წვლილი შეაქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში, აგრეთვე ის, რომ იცავს ყველა მშრომელთა ინტერესებს განურჩევლად რასისა, ეროვნებისა და მათი პოლიტიკური მრწამსისა. პროფკავშირთა მსოფლიოს ფედერაციას მიაჩნია, რომ ადგას რა ამ გზას, როგორც ეკონომიურ და სოციალურ საბჭოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, იგი იცავს პროგრესისა და საყოველთაო მშვიდობის საქმეს.

კაც-სუხის გამოსვლა

დი ვიტორიოს შემდეგ სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის წარმომადგენელმა კაც-სუხმ. მან მაღალი შეფასება მისცა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარის მოხსენებას. კაც-სუხმ აღნიშნა, რომ საერთაშორისო ეკონომიური მდგომარეობა მოახლოებული კრიზისის ნიშნებით ხასიათდება. მეორე მსოფლიო ომის საშინელებათა გამოვლის შემდეგ ხალხები ახლა შიმშილისა და უმუშევრობის წინაშე დგანან. კაც-სუხმ დაწვრილებით ილაპარაკა ეკონომიურ მდგომარეობაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც სულ უფრო აშკარად ჩანს კრიზისის ნიშნები, და აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური სიძნელენი გავლენას ახდენენ სხვა ქვეყნების მდგომარეობაზე როგორც ლათინურ ამერიკასა და კანადაში, ისე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ევროპაში, — თქვა კაც-სუხმ, — კრიზისის მოვლენები უფრო ნელა ვითარდება, მაგრამ უკვე ფაქტია მთელ რიგ ქვეყნებში სამრეწველო პროდუქციის შემცირება და უმუშევრობის ზრდა.

რამდენადაც, — თქვა კაც-სუხმ, — პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტი საბჭომ შეიძლება განსახილველად მიიღოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს ერთ-ერთი წევრი მხარს დაუჭერს და შეიტანს მას თავის სახელით, პოლონეთის დელეგაცია მხარს უჭერს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის რეზოლუციის პროექტს და ოფიციალურად შეიტანს იგი საბჭოს განსახილველად.

კაც-სუხმ წაიკითხა რეზოლუციის პროექტი, რომელშიც ნათქვამია:

იღებს რა მხედველობაში, რომ წესდების 55-ე მუხლი წინადადებას აძლევს გაერთიანებულ ერებს ხელი შეუწყონ „მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას და სამუშაოთი სრულ უზრუნველყოფას, ეკონომიური და სოციალური პროგრესისა და განვითარების პირობებს“; იღებს რა მხედველობაში, რომ ვაჭრობის შეზღუდვამ, რასაც ზოგიერთი მთავრობა მიმართავს, და სულ უფრო გადიდებულმა დასასახადებმა, რაც შეიარაღების ხარჯებმა გამოიწვიეს, მთელმა რიგმა დაბრკოლებებმა, რასაც საერთაშორისო ტრესტები და მონოპოლიები ქმნიან, მეტი ზელი ქვეყნების თავისუფალ ეკონომიური განვითარებისა და ინდუსტრიალიზაციის უზრუნველყოფის მისწრაფების წინააღმდეგ, გამოიწვიეს ახალი ეკონომიური კრიზისი, ხოლო 1948 წლის დამლევიდან და 1949 წლის დამდეგიდან ხელს უწყობენ მსოფლიოს უმუშევრობას;

ასევე, იღებს რა მხედველობაში, რომ უმუშევრობა საფრთხეს უქმნის მშვიდობას, რადგან გაბატონებულ ეკონომიურ ძალებს ზოგიერთ ქვეყანაში უფრო უმჯობესად მიაჩნიათ ახალი მსოფლიო ომი გამოიწვიონ, ვიდრე დაიცვან შეიარაღება, რომლებიც ყველაზე მეტად საფრთხეს ქმნიან ეროვნული სუვერენიტეტისა და ეროვნული ეკონომიკისა, ეროვნული ბაზრისა, ეროვნული ვალუტისა, ეროვნული ბიუჯეტისა, ეროვნული ენერგეტიკისა, ეროვნული ტრანსპორტისა, ეროვნული ინდუსტრიისა, ეროვნული ვაჭრობისა, ეროვნული ინტელიგენციისა, ეროვნული ენისა, ეროვნული კულტურისა, ეროვნული ეკლესიისა, ეროვნული ეროვნებისა, ეროვნული ეროვნული ეროვნული